საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 28 ივნისი. 2019 წ. №128 (8794) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

მონოპოლისტების „კრახი“

პროპორციულ არჩევნებს ითხოვდნენ და... აგე, გამოჩხრიკეს თავიანთი დასაკლავი დანა



4

ნიკა მელიას აღკვეთის ღონისძიებად 30 ათასლარიანი გირაო შეეფარდა

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ნიკა მელიას აღკვეთის ღონისძიების სახით 30-ათასლარიანი გირაო შეეფარდა. მოსამართლე თემურ გოგოხიამ გადაწყვეტილება გუშინ გამოაცხადა.



დაცვის მხარე 10-ათასლარიან გირაოს შეფარდებას ითხოვდა. როგორც ადვოკატმა გიორგი კონდახიშვილმა განაცხადა, მელიას დაკავება პოლიტიკურ განეიტრალებას უკავშირდება. ასევე, ადვოკატმა სასამართლოს წარუდგინა წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ მელიას დეპუტატები თავდებში უდგებოდნენ.

პროკურატურა მელიასთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობას ითხოვდა. პროკურორმა ამირან გულუაშვილმა შუამდგომლობის არგუმენტად დასახელა ის, რომ მელიამ შესაძლოა, მოწმეებზე ზემოქმედება მოახდინოს, ასევე მტკიცებულებების განადგურება მოხდეს.

ბრალდებას არ დეთანხმა დაცვის მხარე. ნიკა მელიას ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, რაც ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას, ხელმძღვანელობასა და მასში მონაწილეობას გულისხმობს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მელიას ექვსიდან ცხრა წლამდე პატიმრობა ემუქრება.

დიახ! კი! რუსეთი ოკუპანტია თანაოკუპანტ „ნაცბანდასთან“ ერთად!

3

„რუსთავი-2“-ის მიზანმიმართული, ყალბი დეზინფორმაცია საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით!

3

საქართველოს პირველი არხის განცხადება

რა აუკრძალა სასამართლომ ბრალდებულს?!

„2019 წლის 27 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მომართა საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ბრალდებულ ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ნიკანორ მელიას ბრალად ედება:

ჯგუფური მოქმედების **ხელმძღვანელობა,** რასაც თან ახლდა ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა და მათზე თავდასხმა;

ჯგუფურ მოქმედებაში **მონაწილეობა,** რასაც თან ახლდა ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა და მათზე თავდასხმა. პროკურორმა შუამდგომლობით ითხოვა ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მისი მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის, მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხეების გათვალისწინებით, ასევე მიუთითა ბრალდებულის მიერ სხვა საქმეზე შეფარდებული მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების – გირაოს პირობების დარღვევის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ, შუამდგომლობის განხილვისას, საქმის მასალების შეფასებისა და მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდეგ, მიიჩნია, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არსებობს ბრალდებულ ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელი ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღკვეთის ღონისძიების მიზნების უზრუნველყოფა შესაძლებელია ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების, 30 000 ლარის ოდენობით გირაოს პირობებშიც. ბრალდებულს გირაოს გადახდის ვადად განესაზღვრა 20 დღე. სასამართლოს განჩინებით, ბრალდებულს დაეკისრა დამატებითი ვალდებულებები, კერძოდ, ნიკანორ მელიას აეკრძალა: საცხოვრებელი ადგილის (სახლის) დატოვება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე; საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას საჯარო განცხადებების გაკეთება; მოწმეებთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია; მასვე დაეკისრა საგამოძიებო ორგანოსთვის პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება; ამდენად, გაზრდილი გირაოს ოდენობის და დამატებითი ვალდებულებების დაკისრების პირობებში, სასამართლომ მიიჩნია, რომ სრულად იქნება უზრუნველყოფილი აღკვეთის ღონისძიების მიზნები.

სასამართლოს განმარტებით, გირაოს პირობებისა და დამატებითი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება გირაო, შესაძლოა, შეიცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. საქმეზე წინასასამართლო სხდომა დაინიშნა 2019 წლის 14 აგვისტოს 12:00 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

შოთა ჩხეიძე:

ზნეობა ერის ხერხემალია!

5

ვიდადი აბასოვი:

რუსეთო, გილოცავ!

8

მამუკა ბახტაძის პარლამენტში გამოსვლა გადაიდო

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის პარლამენტში გამოსვლა გადაიდო. ამის შესახებ გუშინ ბიუროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ განაცხადა.

როგორც თალაკვაძემ აღნიშნა, არსებულ ვითარებაში შეუძლებელი იქნება მთავრობის ანგარიშის სათანადო განხილვა. პრემიერის პარლამენტში გამოსვლის თარიღზე დამატებითი კონსულტაციები გაიმართება. არ არის გამორიცხული, მამუკა ბახტაძეს რიგგარეშე სესიაზე მოუსმინონ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე პარლამენტში დღეს სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ პირველი ყოველწლიურ მოხსენებით უნდა გამოსულიყო. დოკუმენტი 212-გვერდიანია. მოხსენებაში საუბარია ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე, უსაფრთხოებასა და თავდაცვაზე. ასევე, ეკონომიკურ პროცესებზე, განათლების სფეროსა და ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით განხორციელებულ რეფორმებზე.

გიორგი გახარია დღეს პარლამენტში აღარ მივა

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია დღეს პარლამენტში აღარ მივა. რა გახდა, გახარიას გადაწყვეტილების შეცვლის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

რამდენიმე დღის წინ, შს მინისტრმა თავად მოითხოვა 20-21 ივნისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით პარლამენტში სიტყვით გამოსვლა.

ლადო კახაძე პარლამენტარია!



საქართველოს პარლამენტმა ლადო კახაძის სადეპუტატო უფლებამოსილება ცნო. საკითხზე კენჭისყრა გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ჩატარდა.

ლადო კახაძის სადეპუტატო უფლებამოსილებას მხარი 87 დეპუტატმა არც ერთის წინააღმდეგ დაუჭირა. ლადო კახაძე მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატია. მან სადეპუტატო მანდატი 19 მაისის შუალედურ არჩევნებში მოიპოვა.

ლადო კახაძე საკანონმდებლო ორგანოში პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს ჩაანაცვლებს.

თამაზ მეჭიაური ქუცნაშვილს „შეურიგდა“

ამის შესახებ მეჭიაური სოციალურ ქსელში წერს: **„გულწრფელად, ქედს ვიხრი მის წინაშე, — რაც ვერ შეძლო პოლიტიკოსების ვერც ერთმა თაობამ, თუნდაც უნებლიედ, მოახერხა მან, საფუძველი ჩაუყარა ყველაზე დემოკრატიულ რეფორმებს!“** — დაწერა მეჭიაურმა.

<u>რომან კაკულია:</u> ნიკა მელიას საკითხზე პოლიტიკური კარიერის აწყობას არ ვაპირებ

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია განმარტავს, რომ ნიკა მელიასთან დაკავშირებული კენჭისყრისას დემარშისთვის ან პოლიტიკური კარიერის დაწყებისთვის არ შეუკავებია თავი.

ჟურნალისტების კითხვაზე, მმართველი გუნდიდან გაუშვებენ თუ არა იმის გამო, რომ გენერალური პროკურატურის მოთხოვნას მხარი არ დაუჭირა, კაკულია პასუხობს, რომ თუ მისი გადაწყვეტილება ვინმესთვის პრობლემაა, გუნდს პრობლემას არ შეუქმნის.

<u>მარიამ ჯაში:</u> განსხვავებული აზრი გუნდს მხოლოდ აძლიერებს!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი მარიამ ჯაში განმარტავს, რომ ნიკა მელიასთვის იმუნიტეტის შეჩერების საკითხს ორი პრინციპის გამო არ მისცა ხმა. ჯაში ამბობს, რომ პირველი პრინციპი პარლამენტარიზმი და თავად პარლამენტის წევრის იმუნიტეტის პატივისცემაა, მეორე კი ის, რომ პირადად მან საკმარისი არგუმენტები ვერ მიიღო.

„სამართლებრივი საფუძველი უკავშირდება თავად არგუმენტაციის სიძლიერეს და იმ მოცემულობას, რომლის საფუძველზეც უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება. დღეს არსებული რეგლამენტი არ გვავალდებულებს შინაარსობრივ განხილვებში შესვლას, პრაქტიკულად, ის არის უფრო პროცედურული ხასიათის, ვიდრე შინაარსობრივი განხილვის, რომელიც გვაძლევს მტკიცებულებათა სირთულის განხილვის შესაძლებლობას. ამ მოცემულობით მივიღე გადაწყვეტილება და ჩავთვალე, რომ არ იყო ჩემთვის პირადად საკმარისი მამტკიცებელი საფუძვლები, რომ მივიღო ისეთი სენსიტიური გადაწყვეტილება, რომელიც უკავშირდებოდა კოლეგისათვის იმუნიტეტის მოხსნას“, — განაცხადა მარიამ ჯაშმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

შეკითხვაზე, დაარღვია თუ არა მან გუნდურობის პრინციპი და შესაძლოა თუ არა, ამის შემდეგ დადგეს მისი გუნდიდან წასვლის საკითხი, ჯაში ამბობს, რომ თავად ასეთი გადაწყვეტილების მიღებას არ აპირებს და 2012 წლიდან, იმ დროიდან, როცა „ქართული ოცნების“ გუნდს შეუერთდა, ამაყობს თითოეული იმ რეფორმით, რომლის განხორციელებაც გუნდმა შეძლო.

რეგლამენტის დარღვევა კი არა, ქვეყნის დარღვევას ცდილობენ ყოველდღე, მაგრამ არ გამოსდით

— ასე გამოეხმაურა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე ოპოზიციის ბრალდებებს. მამუკა მდინარაძემ კომენტარი გააკეთა ოპოზიციის განცხადებაზე, რომ პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის პარლამენტში გამოსვლის გადადება რეგლამენტის დარღვევაა.

ამ ფონზე, როდესაც პრემიერი პირველად მოდის საქართველოს პარლამენტში და უნდა გააკეთოს მოხსენება, როგორც გაწეული საქმიანობის შესახებ, ისე პრობლემის შესახებ, ამას სჭირდება შესაბამისი ფორმატი.

ბოიკოტის ფონზე, ბუნებრივია, არაოპტიმალური და შეუფერებელია, რომ ჩაერთოს ყველა მხარე დისკუსიაში, როგორც ამას მოგვიწოდებს ჩვენი მთავარი პარტნიორები აშშ-ის საელჩო და დავნიშნოთ დღე, როცა ჩვენ სრულფასოვნად გავივლით ყველა დეტალს, მათ შორის მიმდინარე თემებთან დაკავშირებით.

„რა თქმა უნდა, ამას მოჰყვება სპეკულაციები — მიიმალა, შეეშინდა და აშ. გაგრძელდება სპეკულაციები, მაგრამ რეალურად მიზეზები არის მათ მიერ შექმილი დესტრუქციული ფონი, იმის ნაცვლად, რომ ილაპარაკონ საქმეზე. როდესაც იქნება ოპტიმალურად ყველა წესის დაცვით საქმეზე, მათ შორის პრობლემებზე საუბრის საშუალება, ეს იქნება ძალიან მალე, მათთან შეთანხმებით სხვათა შორის.

გახარიაზეც ანალოგიურად შეიძლება ითქვას, რომ თუ ისინი მოუსმენენ, არ არის არანაირი პრობლემა, მოვიწვიოთ რიგგარეშე სხდომა, როგორც პრემიერის ისე შს მინისტრის მოსასმენად, რათა იყოს საქმეზე საუბარი და არა პოლიტიკურ სპეკულაციებზე. ბოლო დღეების განმავლობაში პარადოქსია, რომ გავრილოვზე არიან გაბრაზებულები და ის იქიდან უწყვეტს თემებს. ჩვენ პასუხისმგებლობით ვუდგებით ყველა საკითხს და მოვიწვევთ რიგგარეშე სხდომას, როგორც კი კონსტრუქციულ რეჟიმში გადავა“, — განაცხადა მამუკა მდინარძემ.

ლევან იზორია - როცა ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებულია...

ჩვენი თავდაცვითი პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ სამშვიდობო პოლიტიკის პრინციპებს ეფუძნება, ჩვენი სიძლიერით საფრთხეების თავიდან აცილების უზრუნველყოფაზეა მიმართული, — ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ საქართველოს პირველ არხს ბრიუსელში განუცხადა კითხვაზე, რუსეთის ეკონომიკური სანქციების ფონზე, როგორია უსაფრთხოების მხრივ ვითარება და საქართველოსთვის ამ კუთხით ახალი გამოწვევები ხომ არ არის.

„ყოველთვის საჯაროდ ვამბობთ, რომ იმ პირობებში, როცა ქვეყნის 20 პროცენტი არის ოკუპირებული რუსეთის მიერ, საფრთხე არსებობს ყოველდღიური რუსეთიდან მომდინარე. ამიტომ ჩვენი თავდაცვითი პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ სამშვიდობო პოლიტიკის პრინციპებს ეფუძნება, მიმართულია იმისკენ, რომ მაქსიმალურად უზრუნველვყოთ ჩვენი სიძლიერით ამ საფრთხეების თავიდან აცილება.

მით უფრო, ამ სიტუაციაში და მაქსიმალურად, ჩვენი საერთო ძალისხმევით, ამ სამშვიდობო თავდაცვის პოლიტიკას ხელი შევუწყოთ ნატოს აქტიური ჩართულობით“, — განაცხადა ლევან იზორიამ.

მინისტრის შეფასებით, მეტი ნატო საქართველოში არის თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი გარანტი.

„როდესაც ვსაუბრობთ რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებაზე, მხედველობაში გვაქვს მეტი ნატო საქართველოში, რაც არის ჩვენი ღრმა რწმენით მნიშვნელოვანი გარანტი საქართველოს თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებისთვის და სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი მხრიდან მაქსიმალური ჩართულობა ნატოსთან ერთად გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ტოტალური თავდაცვის პრინციპის საფუძველზე, ტერიტორიული თავდაცვის უზრუნველყოფისთვის და რეგიონში ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან უსაფრთხოების განმტკიცებისთვის, სწორედ ეს იქნება მთავარი აქცენტი დღეს ნატოს გენერალურ მდივანთან, მის მოადგილესთან ორმხრივ შეხვედრებში საუბრის დროს“, — განაცხადა ლევან იზორიამ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია ბრიუსელში იმყოფება, სადაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინა ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრებს მასპინძლობს.

◎ ერთი ქალაქელი კაცის შემოქახილი

დიახ! კი! რუსეთი ოკუპანტია

თანაოკუპანტ „ნაცბანდასთან“ ერთად!

შვიდი წელია, ხმის ჩახლეჩამდე ყვირის ამომრჩეველი – არა ნაცბო... ბანდას და მის ნასხლეტებს, არა! არ არის ბოლო დღეების პროტესტი გულანთებული ახალგაზრდების პროტესტი, არც ერთი იქ გამომსვლელი არ იბრძოდა პირსისხლიანი რეჟიმის დროს. მარტივად არის ჩამოსათვლელი მათი შემადგენლობა: ნაცბო...ბანდა, თავისი ქვეგანაყოფებით, „გირჩის“ მუქთახორები, ილიაუნის ლგბტ მიმდევრები და ათას მიკროფონზე გადამხტარები!

თავს უფლებას ვაძლევ, შემოგთავაზოთ ჩემეული შეფასება მიმდინარე მოვლენებზე. დიახ! – კი! ერთი წელი შესრულდა პრემიერ მამუკა ბახტაძის კაბინეტის და სამოქმედო პროგრამის დამტკიცებიდან. მანამდე ფინანსთა მინისტრის პოსტიდან შეთავაზებულ რეფორმებს და ახალ, ცივილიზებულ თამაშის წესებს ფინანსურ სექტორში. ვინ დაუპირისპირდა? ყველა ხელისუფლების ბანკირი – კომკავშირელი, მევახშეები, ამავე დროს დეპუტატები... განათლებამ და სუფთა წარსულმა გაიმარჯვა, 600 ათასზე მეტმა მოქალაქემ ამოისუნთქა. სამოქმედო პროგრამა მთავრობის ამბიციურია (ამის შესახებ გამოქვეყნებისთანავე აღვნიშნავდი), ხოლო ეროვნული იდეა განათლების შესახებ – ეპოქალური. ვინ არ დაუჭირა მხარი? ისევ ნაცბო...ბანდამ! დიახ! კი! სერიოზული მზადება მიდიოდა, ნაცბო...ბანდა წვეთ-წვეთად აშუქებდა ვითომდა ფაქტებს „რ2“-ის, „ტვ1“-ის მეშვეობით მოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ. იყო მცდელობა ზუგდიდში კარგად მომზადებული სუპერ აგენტის მეშვეობით სიტუაციის არევის, დავითგარეჯის თემით მანიპულირებით, ანაკლიის და ფოთის პორტი, რომელი ერთი ჩამოვთვალო? აქ აშკარად ჩანს რუსული კვალი „ნაცბო...ბანდის“ შესრულებით!

ხელისუფლება თავის სტრატეგიულ მოკავშირესთან – ევროპასთან, დასავლეთთან აგრძელებს მუშაობას და პრემიერის წარმატებული ვიზიტი ამერიკაში, სახელმწიფო მდივნის განცხადება – „რუსეთის და ჩინეთის საქციელზე“, ააგორა ოკუპანტი ქვეყნის და თანაოკუპანტი ნაცბო...ბანდის „საქმენი საგმირონი“ წინასწარი დაგეგმილი სცენარის „ა“ და „ბ“ ვარიანტები... „გავრილოვ-ქუცნაშვილის“ პანაშვიდზე ელენე ხოშტარია ჩანთიდან იღებს დროშას, როგორც მომტირალი ქალი, ცხვირსახოცს, ხოლო ბობოხიძე – როგორც მერიქიფე, წყალს ასხამს... სანახაობა შედგა, მიზანი მიღწეულია, დაიწყო ხავილი... დიახ! კი! ვინ უნდა იყოს სამიზნე, თუ არ გამოვიდა შეღწევა პარლამენტში? რა თქმა უნდა, გიორგი გახარია, მის უწყებაში, როგორც ყველგან, აღმასრულებელ ხელისუფლებაში უამრავია გასუსული ნაცბო...ბანდელი... ასპარეზზე გამოჰყავთ უკვე გუ-ბოზი და ტყვიაველი „ოქრო“ თავის მოქმედი და ყოფილი ზონდერებით... შედეგი მიღწეულია მათთვის და პატრონისთვის! შვიდწლიანმა კოჰაბიტაციამ, უმადურების პოსტებზე რეკომენდატორებისთვის პასუხის არმოთხოვნამ საკადრო გადაწყვეტილებაზე, ისე გაათავხედა ზოგი ტოპმენეჯერი, ზონდერებს ნიშნავს სამსახურში და წარდგენისას ამბობს, გუნდის წევრიაო! ახლა მიხვდით, რომელი გუნდის!

P. S. ბოლო გადაწყვეტილება კიდევ ერთი, დიდხანს ფიქრის შედეგია! მქონდა რა ბედნიერება, მემუშავა მამუკა ბახტაძის ხელმძღვანელობით, ვიცი, ემოციებით, ან კარგად საკითხის შესწავლის გარეშე არანაირ გადაწყვეტილებას არ იღებს. საკმარისია, მისი ქვეყნიდან მივლინება დაანონსდეს, ნაცბო...ბანდელთა საინფორმაციო ჩიტები ავრცელებენ, რომ მის შემცვლელს ბიძინა ეძებს და ა.შ.

დიახ! კი! რუსეთი ოკუპანტია თანაოკუპანტ „ნაცბანდასთან ერთად!

სოსო ვაშაკიძე

„რუსთავი-2“-ის მიზანმიმართული, ყალბი დეზინფორმაცია საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით!

საქართველოს პირველი არხის განცხადება

საქართველოს პირველი არხი ეხმაურება „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტის, ნოდარ მელაძის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 13[1] მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად:

1. სასამართლო ვალდებულია, უზრუნველყოს სასამართლო პროცესის აუდიო/ვიდეოჩაწერა. სასამართლომ მოთხოვნისთანავე უნდა უზრუნველყოს აუდიო/ვიდეოჩანაწერის მხარეებისთვის ხელმისაწვდომობა. თუ სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე, მხარეები ვალდებული არიან, ხელი მოაწერონ ხელწერილს აუდიო, ვიდეოჩანაწერის გაუმჟღავნებლობაზე.



2. საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია, შეუზღუდავად განახორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო/ვიდეო/აუდიოჩაწერა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე. საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ჩანაწერის გადაცემა მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისთვის მათი მოთხოვნისთანავე.

გამომდინარე აქედან, საქართველოს პირველმა არხმა ისარგებლა კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით და განახორციელა ნიკანორ მელიასთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესის ჩაწერა და ჩანაწერის უცვლელი სახით მყისიერად მიწოდება სხვა მედიასაშუალებებისთვის.

კატეგორიულად მიუღებელია რაიმე სახის კომენტარი იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული მასალა მიწოდებული იყო სხვა მედიასაშუალებებისთვის დამუშავებული სახით.

ხაზგასმით, სრული პასუხისმგებლობით და ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებთ, რომ სხვა მედიასაშუალებებს ზემოთ აღნიშნული სხდომის ამსახველი მასალა გადაეცემა ყოველგვარი ცვლილების გარეშე.

საქართველოს პირველ არხს არამც თუ არ გააჩნია რაიმე საკანონმდებლო ვალდებულება, პირდაპირი ტრანსლაცია უზრუნველყოს სხვა მედიასაშუალებებისთვის სასამართლო სხდომის დარბაზიდან, არამედ მოქმედი კანონმდებლობა თავად საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის არ ითვალისწინებს შესაძლებლობას, განახორციელოს ამგვარი პირდაპირი ტრანსლაცია, რაზეც არაერთხელ, სხვა გახმაურებულ სასამართლო საქმეების განხილვაზე იყო მსჯელობა და კომენტარი და რაზეც ასევე არაერთხელ შედგა კომუნიკაცია სასამართლო ინსტანციასთან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდზე, სპეციალურ ველზე განთავსებულია გადაღებისთვის საჭირო განაცხადის მიმართვის ფორმა და მცირედი განმარტება დაინტერესებული მედიასაშუალებებისთვის, რომელიც ასევე სრულად იმეორებს კანონში არსებულ ჩანაწერს და სხვაგვარად არ განმარტავს. კერძოდ, ეს ჩანაწერი არ ითვალისწინებს სასამართლო სხდომის დარბაზიდან როგორც სხდომის პირდაპირი ტრანსლაციის ვალდებულებას, ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ვალდებულებას, უზრუნველყოს პირდაპირი ტრანსლაცია სხვა მაუწყებლებისთვის.

გავრცელებული განცხადება იმასთან დაკავშირებით, თითქოს საქართველოს პირველი არხი არ უზრუნველყოფს სხვა მედიასაშუალებებისთვის აღნიშნული მასალის მიწოდებას ან აწოდებს შეცვლილი სახით, არის სიცრუე და ემსახურება არხის დისკრედიტაციას. ეს არის იმ აგორებული კამპანიის ნაწილი, რომელსაც აქვს ადგილი გარკვეული ჯგუფის მხრიდან პირველი არხის წინააღმდეგ. **ასე რომ, მელაძის განცხადება არის მორიგი მიზანმიმართული დეზინფორმაცია და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად.**

იყიდება საქართველო!

ფიქრი დღევანდელზე, ნიკო ლორთქიფანიძის დახმარებით

...იქ, სადღაც შორს, ბეთლემში, ცხრამეტი საუკუნის წინათ, ცამოჭედილ ღამეს მღვიმეში დაიბადა იესო, ძე ქალწულის მარიამისა, მაშვრალთა იმედი და ნუგეში, ტანჯვის შემამსუბუქებელი, სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი...

აქ კი...დღეს...“

* * *

აქ კი დღეს...

იყიდება საქართველო.

ყიდის ყველა: პოლიტიკოსი, მღვდელი, ბიზნესმენი, პროფესორი, მასწავლებელი, მწერალი, ჟურნალისტი, მხატვარი, არქიტექტორი, ექიმი, კომპოზიტორი, მსახიობი, მომღერალი, პროკურორი, ადვოკატი, ჭკვიანი და სულელი, ნარკომანი და პირაკრული, ჩინოვნიკი და არასამთავრობოელი, მდიდარი და ღარიბი...

იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, პარლამენტში და სამინისტროში, თეატრში და სასამართლოში, უნივერსიტეტში და სკოლაში, ბანკში, ეკლესიაში, საავადმყოფოში, რესტორანში, საპყრობილეში, ტელევიზიაში, სამოქალაქო სექტორში,მიტინგზე და სესიაზე, სამორინეში, „ჯიპში“, მატარებელში, თვითმფრინავში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში...

იყიდება ნაწილ-ნაწილ...

* * *

...„**იყიდეთ** ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრადდარჩენილი აძღებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!“

იოსებ ჭუმგურიძე

ქეთი დოლიძე:

მეზიზღება ეს ხალხი! ყველა, ვინც დღეს მიტინგზე გამოდის, მოღალატეა!!!

რეჟისორი ქეთი დოლიძე რუსთაველის გამზირზე მიმდინარე საპროტესტო, ანტისაოკუპაციო აქციას სოციალური ქსელით ეხმიანება.

„ეს უაზრო „ლაიქები“, ზოგიერთი ვითომ „ბომონდის“ წარმომადგენლების, რომელთაც თავი ქუდში აქვთ და ბევრს უცხოური პასპორტიც... ზოგი რუსეთში ცხოვრობს, რუსული პასპორტით და იქედან აგინებს რუსეთს, გაუთვლელი, ეპატაჟური სისულელე და „ვაი პატრიოტიზმი“!!!! მეზიზღება ეს ხალხი! ყველა, ვინც დღეს მიტინგზე გამოდის – მოღალატეა!!!!“, – წერს ქეთი დოლიძე.

დავით აქუბარდია გინებაში ნიკა გვარამიას დაეწია!

ნიკა მელიასთვის სადეპუტატო იმუნიტეტის შეჩერების გადაწყვეტილებას დავით აქუბარდია ეხმაურება.

აქუბარდია აცხადებს, რომ ამ გადაწყვეტილების მიმღებ დეპუტატებს არ გააჩნიათ ღირსება. **„ღირსება არ გაქვთ თქვე პირუტყვებო, თქვენი დედა ვატირე მე. მაგათ დუხს არ ვნახავ აქ“,** – აცხადებს დავით აქუბარდია.

პროპორციულ არჩევნებს ითხოვდნენ და... აგე, გამოჩხრიკეს თავიანთი დასაკლავი დანა



საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირება, სავარაუდოდ, მომავალ კვირას მოხდება. კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების პროექტი ინიცირებისთვის უმრავლესობის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის ხელმოწერით შევა. საკონსტიტუციო ცვლილებები ახალი კონსტიტუციით დადგენილი იმ წესით განხორციელდება, რაც ცვლილებების მიღებას ერთი სესიის ფარგლებში, 3/4-იანი უმრავლესობით – არანაკლებ 113 ხმით მიღებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ინიციატივით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები პროპორციული საარჩევნო სისტემით, ნულოვანი ბარიერის პირობებში ჩატარდება. პარტიის თავმჯდომარის **ბიძინა ივანიშვილის** განცხადებით, „ქართული ოცნება“ იყო იმ საკონსტიტუციო რეფორმის ინიციატორი, რომლის ფარგლებშიც გადაწყდა, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა უფრო სწორი, 2024 წელს იქნებოდა, რადგან, როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, პარტიების გაძლიერებას, მათ კრისტალიზაციას ღირებულებების გარშემო, მეტ კონსოლიდაციას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას გარკვეული წლები კიდევ სჭირდებოდა.

– სწორედ ამიტომ განისაზღვრა, კონსტიტუციით გარანტირებული საარჩევნო რეფორმის ოპტიმალურ ვადად 2024 წელი, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც დღეს მოქმედი შერეული საარჩევნო სისტემა არის აბსოლუტურად დემოკრატიული, გამართული და აპრობირებულია არაერთ ტრადიციული დემოკრატიის ქვეყანაში. მაგრამ ცხოვრებას თავისი კორექტივები შეაქვს ყველაფერში და ნებისმიერი პასუხისმგებლიანი მმართველი პოლიტიკური ძალის ვალია, იყოს ადეკვატური ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და რაც მთავარია, ესმოდეს საზოგადოების მაჯისცემა, – განაცხადა **ბიძინა ივანიშვილმა.**

მმართველი გუნდის გადაწყვეტილებამ უცირესობა დააბნია. ნაწილი თვლის, რომ ეს არის გამოწვევა, ნაწილი ამტკიცებს, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ გზით ოპოზიციური პოლიტიკური ველის გაწმენდას ცდილობს. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი** ფიქრობს, რომ 0%-იანი ბარიერი არის გამოწვევა, რომელიც ოპოზიციურმა სპექტრმა უნდა მიიღოს და წარმატებით გაუმკლავდეს.

„ეს ინიციატივა მიმართულია იმისკენ, რომ ყველა ადამიანს გაუჩინოს თავში ასეთი აზრი, რომ ერთ პროცენტს ხომ მე თავადაც ავიღებ, რა საჭიროა სერიოზული გუნდის შეკრება, ანუ პოლიტიკური სპექტრის ფრაგმენტაცია უნდა ამითი, მაგრამ როგორც იტყვიან, ახლა ბურთი და მოედანი ოპოზიციისა და ხალხის მხარეს არის. სერიოზული პოლიტიკური ძალები ამ პროცესშიც მოახერხებენ წარმატების მიღწევას და პასუხისმგებლობის აღებას ქვეყნის მომავალზე“, – აღნიშნა „შენების მოძრაობის“ ლიდერმა **დავით უსუფაშვილმა.**

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის **გრიგოლ ვაშაძის** განცხადებით, მმართველ „კანტორას“ თუ ჰგონია, რაიმე საარჩევნო ხრიკით დაშლის „გაერთიანებულ ოპოზიციას“, ძალიან დიდი შეცდომაა.

„ჩვენ ჩამოვყალიბდით მძლავრ ძალად და ვიცით, რომ ძალა მართლა ერთობაშია. ჩვენ უკვე დავიწყეთ შესაბამისი მოქმედება, რომ დავუკავშირდეთ ყველა იმ 25 პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელმაც შეაგროვა პროპორციულ არჩევნებზე ხელმოწერები იმისათვის, რომ ხვალ გავიაროთ კონსულტაცია და ვიყოთ ერთნი. როგორც კი დაიწყება დაქსაქსვა, შედეგს მივიღებთ დახლოებით ისეთს, როგორც მივიღეთ მაგალითად ავადსახსენებელი კონსტიტუციის შემთხვევაში“, – აღნიშნა **გრიგოლ ვაშაძემ.**

0%–იანი ბარიერით პროპორციული არჩევნების შემოთავაზება, **ირაკლი ოქრუაშვილის** განცხადებით, სხვა არაფერია, თუ არა ივანიშვილის მიერ, თაღლითური სქემით ძალაუფლების შენარჩუნება. როგორც „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი აცხადებს, ეს არის ივანიშვილის მცდელობა, შეინარჩუნოს ძალაუფლება და გაიხანგრძლივოს კიდევ უფრო დიდხანს. ოქრუაშვილი მოითხოვს, რომ პროპორციული არჩევნების ჩატარების მიზნით შეიქმნას სახალხო ნდობის მთავრობა, რომელიც უზრუნველყოფს ახალი არჩევნების სამართლიანად ჩატარებას.

განსხვავებულია ანალიტიკოსების შეფასებები. კონსტიტუციონალისტი **ვახუშტი მენაბდე** თვლის, რომ ნულოვანი ბარიერის პირობებში, დე ფაქტო ბარიერი მაინც გვაქვს და საქართველოს შემთხვევაში, ეს დაახლოებით 0.67% გამოდის. მისი თქმით, ნულოვანი ბარიერი ერთ-ერთი კარგი საარჩევნო სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული ხმების მაქსიმალურად ზუსტად გარდასახვას მანდატებში.

„ნულოვანი საარჩევნო ბარიერი იმას ნიშნავს, რომ პარტიებს, ფაქტობრივად, იმდენი მანდატი აქვთ, რაც მხარდაჭერა და საზოგადოების განწყობები ზუსტად არის ასახული საკანონმდებლო ორგანოში. ეს კი დემოკრატიის მნიშვნელოვანი ასპექტია. ნულოვანი ბარიერის მნიშვნელობას რაც შეეხება, ისე გამოდის, რომ თითქოს თითო ხმა თითო მანდატს უდრის.

ეს წარმომადგენლობით დემოკრატიაში შეუძლებელია. რეალურად, ნულოვანი ბარიერი ნიშნავს ხმების მანდატებში გარდასახვის სპეციფიკურ ფორმულას, სადაც დე ფაქტო ბარიერი მაინც გვაქვს. საქართველოს შემთხვევაში ეს დაახლოებით 0.67% გამოდის. ანუ ყველა 0.67%-ზე ერთი მანდატი ეკუთვნის პარტიას“, – აღნიშნა **ვახუშტი მენაბდემ.**

ანალიტიკოს **დავით ზარდიაშვილის** შეფასებით, ძალიან მარტივი ვითარებაა. მისი თქმით, ამ სისტემით „ნაციონალური მოძრაობა“ კარგავს მთავარი ოპოზიციური პარტიის სტატუსს. მისი თქმით, მმართველი პარტიაც ზარალდება, მაგრამ ნაკლებად. როგორც ზარდიაშვილი აცხადებს, გარკვეული ძალები, რომლებიც „ოცნების“ ფრთის ქვეშ ხვდებოდნენ პარლამენტში, დამოუკიდებლად შეძლებენ, შევიდნენ პარლამენტში.

„აუცილებლობა, რომ „ქართულ ოცნებასთან“ გაერთიანდნენ, ნაკლებად ექნებათ იმ პარტიებს, რომლებიც „ოცნების“ ორბიტაზე მოიაზრებიან. საფრთხეს რაც შეეხება, პოლიტიკური პარტიების კონსოლიდაციას შეუშლის ხელს. როგორც ჩანს, სხვა გამოსავალი ამ ვითარებაში არ არის. ამ შემთხვევაში ეს ყველაზე კარგი გადაწყვეტაა იმიტომ, რომ პირველ რიგში, ამ პოლიტიკურ სისტემას ხელს უშლის ნაციონალების მონოპოლია ოპოზიციის როლზე. ეს აღარ იქნება“, – ამბობს ზარდიაშვილი.

როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, ნაციონალების ორივე ფრაქცია მოხვდება პარლამენტში, ყველაზე მსხვილად ოპოზიციის ფლანგზე ესენი იქნებიან წარმოდგენილი, მაგრამ მათ დააკომპენსირებს სხვა პარტიები, რომლებიც ასევე მოხვდებიან პარლამენტში და ბუნებრივია, მონოპოლია აღარ იქნება.

„რასაკვირველია, ნაცებს ეს არ მოსწონთ. სრულიად ნათელი და აშკარაა, რომ კარგავენ თავის პოზიციებს. ჭრელი იქნება ეს პარლამენტი. გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანობის თვალსაზრისითაც, ნაკლებად ეფექტიანი იქნება და საფრთხეც ეს არის, მაგრამ პოლიტიკური პროცესი იქნება უფრო დივერსიფიცირებული.

ნაცები დაკარგავენ მდგომარეობას, როდესაც მთელი ოპოზიციური ფლანგი მათ გარშემო ტრიალებდა და დღის წესრიგს განსაზღვრავდნენ, რამაც მძიმე პოლიტიკური სურათი მოგვცა. ფაქტობრივად, გაჭედეს პოლიტიკური ვითარება. ამ ვითარებაში გენიალურად მარტივი გამოსავალი გამოინახა. პროპორციულ არჩევნებს ითხოვდნენ და აგერ გამოჩხრიკეს თავიანთი დასაკლავი დანა“, – აღნიშნა For.ge-სთან საუბრისას **დავით ზარდიაშვილმა.**

კონსტიტუციონალისტ **ვახტანგ ძაბირაძის** განცხადებით, ნულოვანი ბარიერის მიღება იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მიიღებს ამომრჩეველთა ხმების 0.6%-ს, მას გარანტირებული აქვს ერთი მანდატი პარლამენტში. ეს, მისი თქმით, იმას ნიშნავს, რომ 2020 წლიდან გვექნება აუცილებლად კოალიციური მთავრობა, რადგან ქვეყანაში დღეს არ მეგულება არც ერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც 50%-ს+1 მოაგროვებს.



„ნულოვანი კი ჰქვია, მაგრამ ბუნებრივი ბარიერი არსებობს. წესდება ბუნებრივი ბარიერი, რაც იმას ნიშნავს, რომ 0,7% უნდა მიიღო. აი, ეს არის ნულოვანი ბარიერი. მსხვილ პარტიებს ნულოვანი ბარიერი მაინცდამაინც არ აწყობთ, რადგან თუ მანდატი გადანაწილდა, მაშინ ისინიც მიიღებენ იმდენ მანდატს, რამდენი პროცენტი მიიღეს, მაშინ, როდესაც ბარიერის არსებობის შემთხვევაში, დამატებით ღებულობდნენ იმ მანდატებს, რომელიც იმ პარტიების პროცენტი იყო, რომლებმაც ბარიერი ვერ გადალახეს. ამიტომ არის ამით უკმაყოფილო „ნაციონალური მოძრაობა“ და ალბათ, „ევროპული საქართველოც“. ვინც კი გაერთიანებულ ოპოზიციაში შედის და აქვს ბარიერის გადალახვის შანსი, არ დარჩება „ნაციონალურ მოძრაობაში“. ამიტომ, „ნაცმოძრაობა“ შეიძლება აღმოჩნდეს მარტო, გაერთიანება დაიშალოს, რაც მათ ხელს არ აძლევს. დაახლოებით ეს ვითარება მივიღეთ“, – აცხადებს **ვახტანგ ძაბირაძე.**

„სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების“ ცენტრის ხელმძღვანელი **ლადო ბოჟაძე** ამბობს, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით, შეიქმნება საკმაოდ ბევრი პარტია. შესაბამისად, ბევრი პარტიის შესვლა პარლამენტში დამაზიანებელი იქნება ხელისუფლებისთვის, რომელსაც გაუჭირდება 50%-ს პლუს 1%-ის გადალახვა. ამიტომ, როგორც ბოჟაძე ამბობს, მას მოუწევს კოალიციური მთავრობის შექმნა იმ პოლიტიკურ ძალებთან, ვისთანაც მეტ-ნაკლებად ექნება ინტერესების თანხვედრა.

„დაზარალდება ოპოზიცია, იმიტომ, რომ მანდატები გადანაწილდება არა ძლიერ პარტიებზე – „ნაციონალურ მოძრაობაზე“ და „ევროპულ საქართველოზე“, არამედ ნებისმიერზე, ვინც ამ 0,7%-ს გადალახავს. რაც ყველაზე მთავარია, იმის გამო, რომ ასეთი სისტემის დროს საარჩევნო ბლოკები საერთოდ აღარ განიხილება, რა თქმა უნდა, ასევე იზარალებს ოპოზიცია. ოპოზიცია ვერ იტყვის, რომ გაერთიანებული ოპოზიცია არის, საარჩევნო ბლოკია და ა.შ. ყველას მოუწევს ცალ-ცალკე პარტიებად გამოსვლა. რაც დამაზარალებელია ოპოზიციისთვის, როგორც ფინანსური თვალსაზრისით, ასევე ერთიანობის კუთხით. რეალურად ხელისუფლება მაინც აიღებს იმდენს, რამდენსაც აიღებდა და ის ხმები, რაც შეეძლო, აეღო „ნაცმოძრაობას“ და „ევროპულ საქართველოს“, დაისაქსება“, – ამბობს ბოჟაძე.

მისი თქმით, რაც მეტი პარტია შევა, მით მეტი მანდატი დარჩება გადასანაწილებელი.

თამთა ძარჩავა
For.ge

ზნეობა ერის ხერხემალია!

დამეთანხმებით, რომ ქართველმა ერმა ურთულეს გეოპოლიტიკურ გარემოცვაში თავისი სახელმწიფოებრიობა და თვითმყოფადობა ერთსულოვნებით, ქვეყნისა და მოყვასის განსაკუთრებული სიყვარულით, ურთიერთთანადგომით შეინარჩუნა. ბევრი ძლიერი, უძველესი სახელმწიფო წაიშალა მსოფლიო რუკიდან და ერიც გაქრა, საქართველომ კი მრავალსაუკუნოვან, დამპყრობლებისგან ენის, ტრადიციების, სამშობლოსადმი თავდადების, ურთიერთთანადგომისა და სიყვარულის ჩაქრობის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს გაუძლო. ქართველი ერი თავისი მიწა-წყლით და ტრადიციებით გადარჩა.

XX საუკუნიდან ჩვენ ღირებულებების გადაფასების განსაკუთრებულ პერიოდში ვცხოვრობთ, რამაც ბევრი რამ შეცვალა როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოშიც. სამწუხაროა, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში ასეთი შეფასება საბჭოთა მწერალმა **ასტაფიევმა** გააკეთა – ქართველი საზოგადოება ავად არისო. მაშინ ეს ჩვენთვის, მის მიმართ ქართული სტუმართმოყვარეობის ფონზე, მოულოდნელი და შოკისმომგვრელი იყო, რასაც დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. მაგრამ სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ, რაც გამოსასწორებელია, გამოვასწროთ და დავიბრუნოთ ჩვენი კეთილშობილური ურთიერთპატივისცემის ტრადიციები, კაცთმოყვარეობა, ტაქტი და ქართველი ერისთვის დამახასიათებელი თვისებები, რითაც უცხოტომელებს ყოველთვის ვაკვირვებდით.

ბატონ მწერალს უნდა დავეთანხმოთ, რომ ჩვენც შეგვეყარა რაღაც ვირუსი, რაც ცივილიზებულად ჩათვლილ დასავლეთის საზოგადოებას ახასიათებს: ინდიფერენტულობა, „სხვისი ჭირი ჭობეს ჩხირის“ მორალით ცხოვრება, რის საფუძველზეც არათუ ნაცნობის, მეზობლის ან ნათესავის გაჭირვების გამზიარებელი ვხდებით, არამედ დასაშვებად მიგვაჩნია ერთი ძმა მათხოვარი იყოს, მეორე კი მილიონერი და ამის გამო ეს უკანასკნელი უხერხულობას არ გრძნობდეს.

ადრე საქართველოში ქართველი მათხოვარი არავის უნახავს. სამამულო ომის შემდგომ პერიოდში, იმ გაუსაძლისი გაჭირვების დროს, ქუჩაში ბევრი მათხოვარი იყო, მაგრამ ისინი ომგადახდილი ჩამოსული ადამიანები იყვნენ, რომლებმაც იცოდნენ ქართველი ხალხი კეთილი და გულმოწყალეა და ჩვენთან ჩამოდიოდნენ, ზოგჯერ თავიანთი ოჯახებითაც. ქართველის სამათხოვროდ ქუჩაში დგომა დიდ სირცხვილად ითვლებოდა არა მარტო ნათესავებისთვის, არამედ, მეზობლებისთვისაც. გაჭირვების მიუხედავად ქართულ ოჯახებს ეს დაუშვებლად მიაჩნდათ. ახლა რა დაგვემართა?! უკიდურესად გაჭირვებულ ადამიანებს რა, ნათესავები, მეზობლები, ან მეგობრები აღარ ჰყავთ?! ასევე ჩვეულებრივი გახდა ბავშვიანი მათხოვრის ან უსინათლო ადამიანის წინ გულგრილად ჩავლა.

ამჟამად საქართველოში გავრცელებულ, ერთმანეთის მიმართ გულგრილ, ზოგ შემთხვევაში დაუნდობელ დამოკიდებულებას ემატება ჩვენი ტრადიციებისთვის სრულიად შეუფერებელი ბილწსიტყვაობა, ერთმანეთის ლანძღვა-გინება უშვერი, უცენზურო სიტყვებით როგორც პრესაში, ისე ტელევიზიით და ინტერნეტით, განსაკუთრებით, სოციალურ ქსელებში. ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ქუჩური სიტყვებით ერთმანეთის „შემკობა“, რითაც ქალები განსაკუთრებულად გამოირჩევიან. განა ამის მოთმენა შეიძლება?! სად არიან მათი ქმრები, ძმები, მშობლები, თუ გინდ მეგობრები, მეზობლები, ნაცნობები? ასეთი „ქალბატონი“ რა მაგალითს აძლევს თავის შვილებს? ამას არ უნდა შევეგუოთ! ეს ქართველ ერს გადააგვარებს და ასეთი ქვეყანა და ასეთი მომავალი გვინდა?!



ერმა, რომლის ზნეობრივ ტრადიციებზე იყო განცვიფრებული და აღფრთოვანებული ბევრი უცხოტომელი, ასეთი ზნეობრივი დაცემა მოვითმინოთ?!

საქართველოთი აღფრთოვანებულ მრავალ ცნობილ პიროვნებას შორის (სტრაბონი, პატრიარქი პიმენი, ოლივერ უოლდროპი, ჯონ სტაინბეკი, მარგარეტ ტეტჩერი, ალექსანდრე დიუმა, მაქსიმ გორკი, ევგენი ევტუშენკო და სხვანი) მხოლოდ ვერნერ სიმენსის შეფასებაც საკმარისია მოვიშველიო: „ვნახო საქართველო – ადამიანური კულტურის აკვანი, ყოველთვის იყო ჩემი სანუკვარი ოცნება“.

ნუ წავაქეზებთ დაბალი ღირსების ადამიანებსა და უნებისყოფო ახალგაზრდებს უზნეობის გამოსავლენად. სანამ დროა, საჯაროდ ასეთი გამონათქვამები კანონით უნდა აიკრძალოს, ეს საკითხი ჩვენი პარლამენტის წინაშე უნდა დაისვას.

უდავოა ის, რომ ყველა მოვლენას აქვს თავისი მიზეზი და საზოგადოების ნაწილის ბოლოდროინდელი გულგრილობა ქვეყანაში არსებული მოვლენების მიმართ გარკვეულწილად გააღრმავა წინა ხელისუფლების დროს დანგრეული ეკონომიკის, მიწა-წყლის გაუაზრებლად დაკარგვის, ადამიანების უფლებების სრული უგულებელყოფის უმუშევრობის მკვეთრი გაზრდის, ხალხის გაღარიბების, ღირსების დამამცირებელი ქმედებების და სხვა ცუდი მოვლენების მოკლე დროში (2013-2018 წწ.) სრულად გამოსწორების არარეალისტურმა მოლოდინმა, რამაც მათი იმედგაცრუება, ნიჰილიზმი გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ ვთვლი, აღინიშნოს შემდეგი: უნდა შევეგუოთ იმას, რომ მძიმე ავადმყოფი რთული ქირურგიული ოპერაციის გაკეთების შემდეგ რამდენიმე დღეში ფეხზე ვერ დადგება, იგი ჯერ რეანიმაციას, შემდეგ რეაბილიტაციის პროცესებს გადის და შემდეგ იწყებს ნორმალურ ცხოვრებას; აი, ასეთ პირობებში იმყოფება ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობის აღდგენიდან იმ მძიმე 21-წლიანი უკუსვლის პეროიდის გასვლის შემდეგ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ხელისუფლების მიერ სხვადასხვა სფეროში დაშვებული შეცდომები და გადაცდომები არაპრინციპული მნიშვნელობის საკითხებშიც კი გარკვეულ გავლენას ახდენს მოსახლეობის ნაწილის მიმართ ნდობის გამოხატვასა და მხარდაჭერაზე.

ჩვენი ვალია, უკეთესი მოლოდინით იმედგაცრუებული ადამიანების გაგებაც შევძლოთ (ეს არ ეხება იმ დამნაშავე ადამიანებს, რომელთა მიერ ან ხელშეწყობითა და თანამზრახველობით მოხდა ქვეყნის ამ დღეში ჩაგდება, მათ ამაზე პასუხი უნდა აგონ). ისიც გასათვალისწინებელია, რომ სოციალური პირობების გაუმჯობესების მთელი რიგი უპრეცედენტო ღონისძიებების განხორციელების მიუხედავად, რაზეც ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტის მესამედი დაიხარჯა, ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების დონეს ეს ვერ დაეტყო (თუმცა არ გაუარესებულა, როგორც ხელისუფლების ოპონენტები უსაფუძვლოდ აცხადებენ), რაც სპეციალისტების აზრით იმით აიხსნება, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტს აქვს წინა ხელისუფლების პერიოდიდან გამოყოლილი ბანკებისა და მევახშეების ვალი, აღებული გადაუდებელი ფასიანი სამედიცინო მომსახურებისა და ზოგისთვის კი პატიმრობისგან თავის დასაღწევად. ამ ვალების დაფარვას საკმაო დრო სჭირდება და ცხოვრების დონე ვერ გაუმჯობესდება მანამ, სანამ ისინი არ დაიფარება (წარმოვიდგინოთ, რა მდგომარეობაში იქნებოდა მოსახლეობა და ქვეყანა ეს სოციალური დახმარებები რომ არ განხორციელებულიყო).

ქვეყნის აღდგენისა და განვითარების მიმდინარე პროცესი რომ დაჩქარდეს, ამისთვის აუცილებელია პირველ რიგში მოვიშოროთ ჩემფეხებობა, უზნეობის ვირუსი, ვუმკურნალოთ დაქვეითებულ ღირსებას, აღვადგინოთ ურთიერთპატივისცემა, თანადგომა, ერთსულოვნება, ყველანი ჩავერთოთ ქვეყნის აღმშენებლობაში და მდიდარი ისტორიული ტრადიციების შენარჩუნებასთან ერთად, შევქმნათ ჩვენი საზოგადოებისთვის სულიერად და ზნეობრივად მისაღები თანამედროვე ცივილიზებული სახელმწიფო.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით გამახსენდა ძველი იმერული, კონკრეტულად კი ზესტაფონური, ხალხური გამონათქვამი: „მომიტეხე მჭადი, მოგიტეხავ ყველს“. დამეთანხმებით, რომ ამ თითქოსდა იუმორისტულ გამონათქვამში, ჩვენი უბადლო ტრადიციების – კაცთმოყვარეობის, ურთიერთთანადგომის, ერის ერთსულოვნების აღდგენისა და ქვეყნის გაერთიანების იდეა დევს, რამაც მიბიძგა, გამეგრძელებინა ეს გამონათქვამი და ეს იდეა ლექსად გამომეხატა. ვისაც ლექსი წავუკითხე, მათ შორის კომპეტენტურ პიროვნებებს, მომიწონეს, რამაც გამაბედვინა ფართო მასებისთვისაც გამეცნო. და აი, ისიც:

მომიტეხე მჭადი, მოგიტეხავ ყველს...

როცა შენ გაქვს მჭადი და დაეძებ ყველს,
მე მაქვს ყველი, მაგრამ მჭადი არ მაქვს
დღეს,
მომიტეხე მჭადი, მოგიტეხავ ყველს,
დავპატიჟებ სხვებსაც, მივალ, მოვხდი
ქვევრს.

ამოვიღებ ღვინოს, ვიქეიფებთ ბევრს,
სიმღერით და ლხენით გავაკვირვებთ
სხვებს,
გავახარებთ მოყვასს, თვალს დავუვსებთ
მტერს,
ერთმანეთის ლოცვას შევავედრებთ
ღმერთს.

ყველაფერზე მეტად რაც გვაკლია დღეს –
თანაგრძნობას, ძმობას ვუქადაგებთ
მრევლს.
ძველებსაც ხომ უთქვამთ – „ხელი ბანსო
ხელს“,
მოვინდომოთ ყველამ, გავაკეთოთ ეს.

„მომიტეხე მჭადი, მოგიტეხავ ყველს“,
ამ ხალხური სიბრძნით გადავარჩენთ ერს.

შოთა ჩხეიძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი.

„ნაციონალურ მოძრაობას“ ეშმაკი ისევ არ ასვენებს

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი სალომე სამადაშვილი აცხადებს, რომ მომავალი კვირიდან „ნაციონალური მოძრაობა“ მუშაობას დაიწყებს ე.წ. გავრილოვის სიაზე, სადაც იმ ადამიანების ჩამონათვალი იქნება, რომლებიც ქვეყანაში საფრთხეს უქმნიან საქართველოს დემოკრატიას.

ამასთან, მისივე თქმით, სიაში იქნებიან ის ადამიანებიც, რომლებიც გზას უხსნიან ქვეყნის შემდგომ ოკუპაციას.

„მომავალი კვირიდან დავიწყებთ მუშაობას როგორც პარლამენტში, ისე საერთაშორისო თანამეგობრობასთან, რათა შედგეს ე.წ. გავრილოვის სია იმ ხალხის ჩამონათვალით, რომელიც დღეს ქვეყანაში საფრთხეს უქმნის საქართველოს დემოკრატიას, რომელიც ფაქტობრივად, გზას უხსნის ქვეყნის შემდგომ ოკუპაციას რუსეთის მხრიდან და მოითხოვს ამ ადამიანების წინააღმდეგ შესაბამისი ზომების გატარებას. ყველა დეტალს გაცნობებთ მაშინ, როდესაც დავიწყებთ ამ კონკრეტულ სიაზე მუშაობას“, – განაცხადა სალომე სამადაშვილმა.

რისგან, რატომ და როგორ (არ) იცავს დეპუტატს იმუნიტეტი

„რადიო თავისუფლება“ დაინტერესდა იმ საკანონმდებლო პროცედურით, რომელიც პარლამენტის დეპუტატისთვის იმუნიტეტის მოხსნას ითვალისწინებს.

საქართველოს კონსტიტუციაში, და შემდეგ უკვე პარლამენტის რეგლამენტში, განსაზღვრულია პარლამენტის წევრის დაკავების და დაპატიმრების წესები;

კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მიხედვით საქართველოს **„პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით“.**

გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი 48 საათის განმავლობაში არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.“

გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუცია ამბობს, რომ:

„პარლამენტის წევრს უფლება აქვს, ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს.

დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება ან ამოღება. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.“

კონსტიტუცია განსაზღვრავს, როდის არ შეიძლება სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება პარლამენტის წევრისადმი:

„პარლამენტის წევრს სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული შეხედულებებისათვის.“

კონსტიტუციით „უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები.

სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას. პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით“.

დამატებითი დეტალები გაწერილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-11 მუხლში, რომელიც **პარლამენტის წევრის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პრინციპებს ეხება.**

კერძოდ, მე-11 მუხლში საუბარია:

„საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ წინადადება პარლამენტში შეაქვს საქართველოს გენერალურ პროკურორს. ამ წინადადების საფუძვლიანობას 5 დღის ვადაში შეისწავლიან და წინადადებას განიხილავენ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი, რომლებიც წერილობით დასკვნას წარუდგენენ პარლამენტის ბიუროს. პარლამენტის ბიურო საკითხს განსახილველად სვამს პარლამენტის უახლოეს პლენარულ სხდომაზე. პლენარულ სხდომაზე საკითხის განხილვის შემდეგ გადაწყვეტილება მიიღება დადგენილებით.“

დეპუტატ ნიკა მელიას საქმეზე პარლამენტში სწორედ ეს პროცესები განვითარდა, თუმცა 5 დღის ვადას პარლამენტი არ დაელოდა და პროკურორის მიმართვიდან მეორე დღესვე შესაბამისი პროცედურები დაიწყო.

დადგენილებას, რომელიც პარლამენტმა უნდა მიიღოს, სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა სჭირდება, და ამავე დროს არანაკლებ 50 დეპუტატის ხმას გულისხმობს.

რეგლამენტში ასევე საუბარია, რა ხდება, თუკი სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა:

„პარლამენტის წევრის დაკავებაზე ან დაპატიმრებაზე პარლამენტის მიერ თანხმობის მიცემის შემთხვევაში დაკავებულ ან დაპატიმრებულ პარლამენტის წევრს პარლამენტის დადგენილებით შეუჩერდება უფლებამოსილება დაკავების ან დაპატიმრების პერიოდით. სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში პარლამენტის წევრს პარლამენტის დადგენილებით დაკავების ან დაპატიმრების ვადა ჩაეთვლება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების საერთო ვადაში და მიეცემა დაკავების ან დაპატიმრების დროის შესაბამისი კომპენსაცია.“

WWW.RADIOTAVISUPLEBA.GE

...კიდევ სამი დეპუტატი, რომელთა საქმეებსაც პროკურატურა იძიებდა

საქართველოს პარლამენტის ისტორიაში პროკურატურას სულ რამდენჯერმე აქვს დაწყებული გამოძიება მოქმედი დეპუტატის წინააღმდეგ. ამ შემთხვევებიდან მხოლოდ ერთი დასრულდა პარლამენტის წევრისთვის იმუნიტეტის მოხსნით.

აი, სამი გახმაურებული შემთხვევა ახლო წარსულიდან:

- **აზერ სულეიმანოვი**
- **როლანდ ახალაია**
- **ბორის კაკუბავა**

უფლებამოსილების შეჩერების ის მოთხოვნები, რომელიც არ ეხება პროკურატურის გამოძიებას.

აზერ სულეიმანოვი

მე-9 მოწვევის პარლამენტი, 2018 წელი.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, მეცხრე მოწვევის პარლამენტის დეპუტატის მიმართ სისხლის სამართლის დევნა პროკურატურამ მარნეულში მომხდარი ინციდენტის გამო გასულ ზაფხულს დაიწყო.

პროკურატურის მტკიცებით, აზერ სულეიმანოვმა ელჩინ ალახვერდიევს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

საბოლოოდ, სულეიმანოვს დეპუტატის მანდატი არ შეჩერებია. გამომძიებლის თქმით, მას ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენა ედებოდა ბრალად, ამიტომ აღკვეთის ზომად გირაოს გამოყენება მოითხოვა.

აზერ სულეიმანოვი დღემდე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი და პარლამენტის დეპუტატია.

როლანდ ახალაია

მე-8 მოწვევის პარლამენტი, 2016 წელი

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი როლანდ ახალაია, ბაჩო და დათა ახალაიების მამა, მერვე მოწვევის პარლამენტის დეპუტატი იყო.

2016 წელს უზენაესმა სასამართლომ ახალაია სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორობის პერიოდში სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში დამნაშავედ ცნო. ბრალდების მხარის მტკიცებით სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორად მუშაობის პერიოდში, ახალაია მოქალაქეებს საპროცესო გარიგების პირობით, კერძო კომპანიის ანგარიშზე თანხას არიცხვინებდა.

დეპუტატს ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება 27 თვის ვადით და დაეკისრა ჯარიმა 30 ათასი ლარის ოდენობით.

მისთვის იმუნიტეტის მოხსნისა და დეპუტატის მანდატის შეჩერების საკითხი პარლამენტში აღარ დამდგარა.

ბორის კაკუბავა

მე-5 მოწვევის პარლამენტი, 1999 წელი.

ბორის კაკუბავა პარლამენტში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კვოტით იმყოფებოდა.



1999 წელს კაკუბავას ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის დაგეგმვა-ორგანიზებაში დასდეს ბრალი, ამ ბრალდებას კი საფუძვლად დაედო კავშირი იგორ გიორგაძესთან, რომელიც ტერაქტის საქმეში მთავარი ბრალდებული იყო. იმავე წელს, პროკურატურის მოთხოვნით, კაკუბავას საქართველოს პარლამენტმა დეპუტატის იმუნიტეტი მოუხსნა.

უფლებამოსილების შეჩერების ის შემთხვევები, რომელიც არ ეხება პროკურატურის გამოძიებას.

პარლამენტში დეპუტატებს მაშინ უჩერდებათ უფლებამოსილება, როდესაც თანამდებობასთან შეუთავსებელ საქმიანობას ეწევიან.

ასე ხდება, როდესაც დეპუტატი მინისტრთა კაბინეტის წევრი ხდება, ან შეუთავსებელი ბიზნესის დათმობა არ სურს. არის შემთხვევებიც, როდესაც შეუთავსებელი ბიზნესი მისთვის მანდატის ჩამორთმევის საბაბი ხდება.

2006 წელს **ვალერი გელაშვილს,** ოპოზიციური პარტია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრს, შეუწყდა უფლებამოსილება, დეპუტატობასთან შეუთავსებელი საშეწარმეო საქმიანობის გამო. გელაშვილმა გადაწყვეტილება, როგორც პოლიტიკურად მოტივირებული, საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.

დეპუტატის მანდატი გაუუქმდა მეექვსე მოწვევის პარლამენტის წევრს ბადრი ნანეტაშვილსაც 2006 წელს. საპროცედურო საკითხთა კომიტეტის განცხადებით, ბადრი ნანეტაშვილი „პარლამენტარისათვის შეუთავსებელ სამეწარმეო საქმიანობას **შიდა ქართლის რეგიონული ტელეკომპანია „თრიალეთის“ და ამავე სახელწოდების გაზეთის მართვის გზით ეწეოდა“.** ნანეტაშვილი ბრალდებას უარყოფდა და მმართველ პარტიას მასზე ზეწოლაში ადანაშაულებდა.

უფლებამოსილება შეუჩერდა 2006 წელს დეპუტატ კობა ბექაურსაც, მისივე მოთხოვნის საფუძველზე. ბექაურმა პარლამენტი მას მერე დატოვა რაც ტერმინალ „ოპიზაში“ მის უკანონო ინტერესებზე პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ იმსჯელა, თუმცა დარღვევა არ დაადასტურა.

მეცხრე მოწვევის პარლამენტში დეპუტატის უფლებამოსილების შეჩერება თავად მოითხოვა „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიის მეორე ნომერმა **სანდრა რულოვსმა,** რომელმაც **2016 წელს პარლამენტში შესვლაზე უარი განაცხადა.**

სოფო დათიაშვილი

ეროვნული ბანკი ლარის გაუფასურებას პუტინის სანქციებს უკავშირებს

ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით ეროვნული ბანკი განცხადებას ავრცელებს და განმარტავს, რომ სავალუტო კურსზე გავლენას ახდენს სხვადასხვა შიდა და გარე ფაქტორი, მათ შორის მოლოდინები. შესაბამისად, ინფორმაცია რუსეთიდან ტურისტული ნაკადების მოსალოდნელი შემცირების შესახებ, ბოლო დღეებში სავალუტო ბაზარზეც აისახა.

უწყების განცხადებით, ამ ეტაპზე რთულია ზუსტი პროგნოზის გაკეთება, თუმცა პირველადი გათვლებით, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებას წლის დარჩენილ პერიოდში საქართველოს ეკონომიკაზე გავლენა დაახლოებით 200-300 მლნ აშშ დოლარამდე იქნება და ეს ლარის კურსზეც აისახება.

„საგარეო შოკის დროს გაცვლით კურსი ავტომატურ სტაბილიზატორს წარმოადგენს. ამ პირობებში გაცვლითი კურსის გაუფასურება შოკის მშთანთქმელის როლს ასრულებს. გაუფასურების შედეგად, გარკვეული დაგვიანებით მცირდება იმპორტი და იზრდება ექსპორტი. რაც უფრო სწრაფად მოხდება გაცვლითი კურსის კორექცია, მით უფრო ნაკლები ნეგატიური გავლენა ექნება შოკს ეკონომიკასა და, შედეგად, დასაქმებაზე და შოკის აღმოსაფხვრელად ჯამურად უფრო ნაკლები გაუფასურება იქნება საჭირო. ასეთ დროს ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის გაყიდვა მხოლოდ გადაავადებს გაცვლითი კურსის კორექციას, გააღრმავებს შოკს და საბოლოო გაუფასურების მასშტაბიც უფრო დიდი იქნება (ამის მაგალითებია სხვადასხვა წლებში აზერბაიჯანი, ყაზახეთი, რუსეთი, უკრაინა).

ამ ეტაპზე რთულია ზუსტი პროგნოზის გაკეთება, თუმცა პირველადი გათვლებით, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებას წლის დარჩენილ პერიოდში საქართველოს ეკონომიკაზე გავლენა დაახლოებით 200-300 მლნ აშშ დოლარამდე იქნება. ეს საგარეო შოკი აისახება საგადამხდელო ბალანსზე და, შესაბამისად, კურსზეც. თუმცა, გასათვალისწინებელია, I კვარტალის მიმდინარე ანგარიშის დღეს გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, მიმდინარე ანგარიში 2018 წლის პირველ კვარტალთან შედარებით დაახლოებით ორჯერ (207 მლნ აშშ დოლარით) გაუმჯობესდა. ეს ნიშნავს, რომ სხვა თანაბარ პირობებში, მათ შორის, რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებითაც, წლის განმავლობაში საგარეო ბალანსი პროგნოზირებულზე მცირედით, მაგრამ მაინც გაუმჯობესდება.

საქართველოს საგარეო შოკებით გამოწვეულ კრიზისთან გამკლავების წარმატებული გამოცდილება აქვს. 2014-15 წლებში ნავთობის ფასების ვარდნის შედეგად სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან მოთხოვნისა და გზავნილების შემცირებამ, უკრაინაში საომარმა ვითარებამ, რუსეთისთვის საერთაშორისო ეკონომიკური სანქციების დაწესებამ და აშშ დოლარის გლობალურმა გამყარებამ სავალუტო შემოდინებები დაახლოებით 1.2 მლრდ აშშ დოლარით შეამცირა.

მოგეხსენებათ, რომ ეროვნული ბანკი ზრუნავს საერთაშორისო რეზერვების ადეკვატურობაზე. ადეკვატური რეზერვები ზრდის ქვეყნის მიმართ ინვესტორების ნდობას, რითაც ხელს უწყობს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. როდესაც ქვეყანას არასათანადო რაოდენობის რეზერვები აქვს, შოკების დროს იზრდება უცხოურ ვალუტაზე სპეკულაციური მოთხოვნა, ხდება კაპიტალის გადინება და გაცვლითი კურსის გაუფასურება უფრო მაღალია. შესაბამისად, ადეკვატური რეზერვის გარეშე გაცვლით კურსზე ზეწოლა გაცილებით უფრო ძლიერი იქნებოდა.

დღევანდელი სიტუაცია ცხადყოფს, რომ სესხის და შემოსავლის ვალუტა უმჯობესია ერთი და იგივე იყოს, როგორც ეს ეროვნულ ბანკს არაერთხელ განუცხადება. ასეთ შემთხვევაში მსესხებლები მოწყვლადები არ იქნებიან გაცვლითი კურსის მიმართ. ამავდროულად, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ დოლარიზაციის შემცირების პოლიტიკა და პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპების ამოქმედება სწორი და დროული გადაწყვეტილება იყო“, — ნათქვამია ეროვნული ბანკის განცხადებაში.

ცნობისთვის: კრემლის მიერ საქართველოსთან მიმართებაში შემოღებულ სანქციებს თავად რუსეთის მოქალქეების მხრიდან მძლავრი პროტესტი მოჰყვა. სატელეფონო კავშირის, მედიისა და სოციალური ქსელების მეშვეობით საქართველოში მყოფმა რუსმა ტურისტებმა მალევე შეატყობინეს კრემლის ისტერიული ანტიქართული პროპაგანდის მსხვერპლად ქცეულ ოჯახის წევრებსა და ნაცნობებს რუსეთში იმის შესახებ, რომ საქართველოში მათი უსაფრთხოება სრულად არის დაცული, არანაირი საფრთხე რუსეთის რიგით მოქალაქეებს არ ემუქრებათ და ეს პრობლემა არც ერთ ეტაპზე არ მდგარა დღის წესრიგში. შედეგად კრემლს პროპაგანდისტული კამპანია, ფაქტობრივად, წყალში ჩაუვარდა.

დიდუბის რაიონში ხუთი ახალი სავარჯიშო სივრცე ეწყობა

თბილისის მერიის ინფორმაციით, დიდუბის რაიონში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაო აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

მათივე ცნობით, ამ ეტაპზე სავარჯიშო სივრცეების მოწყობა ხუთ მისამართზე სრულდება.

„სამუშაოების ფარგლებში, სტანისლავსკის ქუჩის №5-ში, აკაკი წერეთლის გამზირის №97-ში, ახმეტელის ქუჩის №10-ში, ასევე დიღმის მასივის მე-2 კვარტალის მე-13 და მე-4 კვარტალის პირველ ა კორპუსებთან, კაუჩუკის რბილი იატაკი დაიგება და სავარჯიშო სივრცე საჩრდილობლით გადაიხურება. მიმდინარე წელს დიდუბესა და დიღმის მასივში 25 ფიტნეს ზონა მოეწყო. აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად გამგეობის ბიუჯეტიდან 446 635 ლარი გამოიყო.

ჰესი „გუმათ 1“ ენერგოსისტემას 1,7 მგვტ სიმძლავრეს შეჰმატებს

„ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციამ“ „გუმათი 1“-ის ჰიდროელექტროსადგურის მეორე ჰიდროაგრეგატის რეკონსტრუქცია დაასრულა, რის შედეგადაც საქართველოს ენერგოსისტემას 1,7 მგვტ. სიმძლავრე შეემატა.

კომპანიის ინფორმაციით, ჰიდროაგრეგატის დადგმული სიმძლავრე 11 მგვტ.-დან 12.7 მგვტ.-მდე გაიზარდა. აღნიშნულ პროექტში 7 მილიონ ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა.

„დღეს ძალიან მნიშვნელოვანია, ავითვისოთ საქართველოში არსებული სიმძლავრეები, მით უმეტეს, როცა საუბარი უკვე არსებული ჰესების მოდერნიზებას ეხება. „გუმათჰესი 1“-ში ჩვენს მიერ ჩატარებული რეკონსტრუქცია საშუალებას გვაძლევს ამ ჰესის გამომუშავება და საპროექტო სიმძლავრე გავზარდოთ. „ენერგო-პრო“ აგრძელებს მის მფლობელობაში არსებული ჰესების რეაბილიტაციას და ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ინვესტიციებსაც ვახორციელებთ,“ — აღნიშნა სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ გენერალურმა დირექტორმა მიხეილ ბოცვაძემ.



ახალციხეში სამშენებლო მასალების საწარმო გაიხსნა

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ახალციხეში სამშენებლო მასალების მწარმოებელი საწარმო გაიხსნა, რისთვისაც 1 000 000 ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა და 50-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ცნობით, პროექტის განსახორციელებლად შპს „დემეტრე და კომპანიას“ სააგენტოსგან ახალციხეში, ადიგენის ქუჩა №2-ში მდებარე 34494.00კვ.მ. მიწის ნაკვეთი ერთ ლარად გადაეცა. კომპანიის საწარმოო ხაზი მოიცავს თბოიზოლირებული და ბეტონის ბლოკის, სანიაღვრე არხის, სამშენებლო ფილის და ბორდიურის წარმოებას. პროდუქცია ადგილობრივი ბაზრისთვის არის გათვლილი.

კახელ ფერმერებს ზარალი აუნაზღაურდებათ

კახეთის რეგიონში სეტყვის შედეგად მიყენებული ზარალი აგროდაზღვევის პროექტში ჩართულ ბენეფიციარებს აუნაზღაურდებათ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ამ ეტაპზე შესულია 1200-ზე მეტი შეტყობინება და ზარალის დათვლა აქტიურად მიმდინარეობს. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროექტების საოპერაციო დეპარტამენტის უფროსი ნატალია ხარატიშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერთან როსტომ სესიაშვილთან და სადაზღვევო კომპანია „ალფას“ წარმომადგენლებთან ერთად ყვარლის მუნიციპალიტეტში დაზარალებულ სულიკო გეზელიშვილს შეხვდა და სეტყვის შედეგად დაზიანებული ვენახი დაათვალიერა. სოფელ ჭიკაანის მკვიდრს, სულიკო გეზელიშვილს სეტყვის შედეგად გაუნადგურდა მოსავლის 50 პროცენტი.

„სადაზღვევო კომპანია „ალფა“ აღნიშნულ ბენეფიციარს აუნაზღაურებს 12 000 ლარს. ბენეფიციარმა სადაზღვევო პოლისის შესაძენად სახელმწიფოსგან 50 პროცენტი თანადაფინანსება მიიღო და მისმა გადახდილმა თანხამ ორი ჰექტარი ფართობის დაზღვევისთვის 1 275 ლარი შეადგინა. მიმდინარე წელს აგროდაზღვევის პროგრამაში სახელმწიფოს მხრიდან სადაზღვევო პოლისის შესყიდვაზე თანამონაწილეობა ყველა კულტურაზე — 70 პროცენტი, ხოლო ვაზზე 50 პროცენტია. 2019 წლის ივნისის თვის დასაწყისის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემულია 11 173 პოლისი; პროგრამაში ჩართულია 5 898 ბენეფიციარი; სახელმწიფოს მხრიდან სადაზღვევო პრემიის სუბსიდიის თანხამ 4 554 318 ლარი შეადგინა. დაზღვეულია 11 520 ჰექტარი ფართობი მიწის ნაკვეთი, ხოლო მოსავლის ღირებულება, ჯამში 104 865 702 ლარია.

ატმისა და ვაშლატამას მოსავლის აღება აქტიურდება

კახეთის რეგიონში, ატმისა და ვაშლატამას მოსავლის აღება აქტიურ ფაზაშია და შეუფერხებლადმიმდინარეობს.

მოსავლის აღების მიმდინარე პროცესის ადგილზე გასაცნობად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი გურჯაანის მუნიციპალიტეტში იმყოფებოდა.

„ფერმერებს მოსავლის აღების, დაბინავებისა და რეალიზაციის პრობლემა არ შეექმნებათ. ატმის ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, გასული წლის მსგავსად, ყველა საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და გაცემა ერთი ფანჯრის პრინციპით ხორციელდება. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან ფიტოსანიტარიული და საბაჟო სამსახურების წარმომადგენლები“, — განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

მინისტრის მოადგილე გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუმლაყში იმყოფებოდა, სადაც თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ხილის სამაცივრო მეურნეობის მუშაობის პროცესს გაეცნო.

ვიდადი აბასოვი:

რუსეთო, გილოცავ!

საქართველოში დაბადებული აზერბაიჯანელი, რუსეთის მოქალაქე, რუსეთის ჟურნალისტთა კავშირის წევრი, პოლიტოლოგი, საზოგადო მოღვაწე **ვიდადი აბასოვი** ბოლო დღეებში საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ვრცელი ვიდეობლოგით ეხმიანება და თვლის, რომ „საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის რუსეთი სამუდამოდ დასამარდა“.

„აქცენტი“ მისი მოსაზრებების ქართულ თარგმანს გთავაზობთ:

„საქართველო ჩემი სამშობლოა, ამიტომ თავს ვალდებულად ვთვლი, გიამბოთ, რა ხდება იქ რეალურად.

როგორც იცით, რამდენიმე დღის წინათ თბილისში არეულობა დაიწყო, რასაც წინ უსწრებდა რუსი დეპუტატის, კომუნისტ გავრილოვის ვიზიტი რუსული დელეგაციის შემადგენლობაში ასეთი ორგანიზაციის – „მართლმადიდებელი ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის“ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. აქვე გეტყვით, რომ ჩემამდე არ დადის, რა კავშირი შეიძლება, ჰქონდეს კომუნისტ გავრილოვს მართლმადიდებლობასთან? ჩემი აზრით, თავად ეს ნათელი დასტურია იმ გაუგებრობისა, რომელსაც სადღეისოდ რუსული პოლიტიკური ელიტა წარმოადგენს. მეტიც, გაირკვა, რომ კომუნისტი გავრილოვი წელს ამ ასამბლეის პრეზიდენტიც კია... ეს, ცხადია, აბსურდია, მაგრამ მთავარი ეს არ არის, ამაში ახალი არაფერია. ჩვენ ხომ დიდი ხანია, ვიცით, რომ რუსული პოლიტიკური ელიტა აქტიურად იყენებს მართლმადიდებლობის, ერთმორწმუნეობის თემებს პოლიტიკურ ინსტრუმენტად და ამ ფონზე თითქმის ყველა მეზობელ მართლმადიდებელ სახელმწიფოსთან მტრული ურთიერთობა აქვს: საქართველო გადაიმტერა, უკრაინა გადაიმტერა, მოლდოვა გადაიმტერა, ბელარუსი გადამტერების პირასაა... და როგორ აპირებს რუსეთის ხელისუფლება ამ პირობებში მართლმადიდებლობის გამოყენებით ამ სახელმწიფოებთან უკიდურესად გაფუჭებული ურთიერთობის მოგვარებას, ჩემთვის სრულიად გაუგებარია!

და აი, გავრილოვის გამოჩენამ საქართველოს პარლამენტში გამოწვია აგრესიული რეაქცია და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა საქართველოდან ძლივს გაასწრო... ვსვამ კითხვას, როგორ დაეცა რუსეთი ამ მდგომარეობამდე, რომ მისი დეპუტატი იძულებულია, კისრისმტვრევით გარბოდეს ჯერ კიდევ გუშინ მეგობრული მეზობელი სახელმწიფოდან?!.

ასეა თუ ისე, გავრილოვის სამარცხვინო გაქცევის შემდეგ თბილისში მასობრივი აქციები დაიწყო. აქცია ჯერ კიდევ ახალი დაწყებული იყო, როდესაც „ფეისბუქში“ ვიწინასწარმეტყველე, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, რომელმაც ამხელა პატივი დასდო გავრილოვს და მის კოლეგებს, თანამდებობას დატოვებდა. ასეც მოხდა. აქციები თბილისში დღესაც გრძელდება. მათ უკვე სტუდენტები მართავენ და უკვე ახალი მოთხოვნებით, რომელთა შორისაა შს მინისტრ გიორგი გახარიას გადადგომა.

მაგრამ არც ესაა მთავარი. ამ მოვლენების ფონზე რუსეთის პოლიტიკური მოღვაწეების მხრიდან წამოვიდა მთელი ტალღა განცხადებებისა, რომელიც ძალიან მამწუხრებს. რუსეთის უშიშროების საბჭომ მაშინვე მოაწყო სხდომა. რა განიხილეს მასზე, მე არ ვიცი, რადგან საქართველო რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხეს არასოდეს უქმნიდა და არც საქართველოში მყოფ რუსეთის მოქალაქეებს ემუქრებოდათ ოდესმე რამე. თუმცა ყველასთვის კარგად ცნობილმა მარია ზახაროვამ განაცხადა, რომ „არეულობები თბილისში – ეს კოშმარული პროვოკაციაა, ბრბომ შეიძლება, ოტელებზე თავდასხმა დაიწყოს და რუსეთის მოქალაქეები საფრთხეში არიან“... ანუ, რუსეთის ოფიციალური პირი მიანიშნებს რუსეთის მოქალაქეებს, საქართველოში არ ჩავიდნენ. რადგან ეს „საშიშია“ და იქ რაღაც „პროვოკაცია“ ხდება...

მინდა, გითხრათ, რომ პროვოკაცია აქ ერთადერთია – თავად ქალბატონი ზახაროვას განცხადება, მანამდე კი – საქართველოში დეპუტატ გავრილოვის მივლენა საქართველოს პარლამენტში დაგეგმილ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად! გავრილოვისა, რომელსაც არაერთგზის გაუკეთებია განცხადებები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის შესახებ! თუ პროვოკატორი არ ხარ, მაშინ რა დონის დილეტანტი უნდა იყო, რომ ასეთი ადამიანი საქართველოში გაგზავნო! რა ესაქმება მას იქ, ან რას შეიძლება, მიაღწიოს?! რა თქმა უნდა, გააგდებდნენ. ნუთუ იმ ადამიანებმა, რომლებიც ამ პროცესს მოსკოვში უწევდნენ კოორდინირებას, დღემდე ვერ გააცნობიერეს საქართველოს მოსახლეობის განწყობები, ან ეს უბრალოდ არ სურთ?! სხვა შემთხვევაში, გამოდის, რომ რუსეთმა ეს პროვოკაცია გამიზნულად დაგეგმა, იცოდა რა, რომ ასეთი ბიოგრაფიის მქონე ადამიანი, როგორც კი თბილისში გამოჩნდება, მასობრივ პროტესტებს გამოიწვევს. ჰოდა, ახლა ვზივარ და ვფიქრობ, სპეციალურად ხომ არ გაგზავნეს მაინცდამაინც გავრილოვი თბილისში პროვოკაციის მიზნით?

მოსკოვი თბილისში მიმდინარე მოვლენების აგრესიად, „რადიკალებისა“ და „ექსტრემისტების“ მოქმედებად წარმოჩენას ცდილობს. ეს ეპითეტები ყველა რუსი ოფიციალური პირის, მათ შორის კრემლის პრესსმდივან დიმიტრი პესკოვის განცხადებაში ვიხილეთ და ამ განცხადებაზე ყურადღება მინდა გავამახვილო: იგი თითქმის არაფრით განსხვავდებოდა 2014 წელს უკრაინაში დაწყებულ მოვლენებამდე გაკეთებული განცხადებისგან, ერთადერთი სხვაობა ისაა, რომ ამჯერად სიტყვა „ფაშისტები“ არ თქმულა, 2014 წლის მოვლენების დროს კი ამბობდნენ, „უკრაინაში მცხოვრები რუსები უკრაინელი ფაშისტებისგან უნდა გადავარჩინოთო“, თუმცა ის „ფაშისტები“ დღემდე ვერ იპოვეს .და მათ არც ერთი მშვიდობიანი რუსი დღემდე არ მოუკლავთ... როგორც ჩანს, ამიტომაც იკავებენ ახლა თავს, ტერმინი „ფაშისტი“ საქართველოსთან მიმართებაში გამოიყენონ, შემოიფარგლებიან მხოლოდ „ექსტრემისტებითა“ და „რადიკალურად განწყობილი ნაციონალისტებით“. მაპატიეთ, მაგრამ თუ მომიტინგეები „ექსტრემისტები“ და „ნაციონალისტები“ არიან, საქართველოს პრეზიდენტი ვინღაა, რომელმაც საქვეყნოდ განაცხადა, რომ რუსეთი მტერია და ოკუპანტი? ისიც „ექსტრემისტია“? ისიც რადიკალურად არის განწყობილი? - არამც და არამც, ჩემო „მეგობრებო“, მოდით, მოვლენებს ობიექტურად ვუყუროთ, ეს მაინც ვისწავლოთ, ეს მაინც მოვახერხოთ, რაოდენ რთულიც არ უნდა იყოს რუსეთის მოქალქეებისთვის მოვლენების ობიექტურად შეფასება სამართლიანობისა და საღი აზროვნების თვალსაზრისით, რადგან რუსეთში არსებობს გუნდი ისეთი ამხანაგებისა, როგორებიც არიან სოლოვიოვი, ბაბაიანი, ბაღდასარიანი, სიმონიანი – ველიკორუსი ნაციონალისტები, რომლებიც უკვე წლებია, ტვინს უღუნავენ რიგით რუსებს, „აი, ამერიკელები გამოჩნდნენო ხან ლვოვში, ხან საქართველოში,.. ახლა წამოვლენ და რუსეთის ოკუპაციას მოახდენენო“...

დღეს „ფეისბუქში“ რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურ გვერდზე ზახაროვას განცხადებას გადავავლე თვალი, რომელშიც იგი ასევე აფრთხილებს რუსეთის მოქალაქეებს, არ წავიდნენ საქართველოში, სადაც „აგრესიული ადამიანები არიან და ტურისტები ექსტრემისტებს შეიძლება, შეეჩეხონ“. ქალბატონო ზახაროვა, მინდა, გითხრათ, რომ საქართველო რუსეთის მოქალაქეებისთვის აგრესიული არასოდეს ყოფილა და არც ახლა არის. ზოგადად ქართველი ხალხი რუსი ხალხის მიმართ აგრესიული არასოდეს ყოფილა და საკუთარი ტყავი ხალხის ტყავში ნუ გეგრევათ, თუ შეიძლება! რუსების მიმართ აგრესია რომ ყოფილიყო ან ახლა იყოს, მთელი ბოლო წლების განმავლობაში ამდენი რუსი ტურისტი არ ჩავიდოდა საქართველოში! და საჩივრები ქართველების მხრიდან ცუდ დამოკიდებულებაზე მათგან დღემდე არ შემოსულა! მაგრამ როდესაც იქ რუსი პოლიტიკოსი ჩადის, კი ბატონო, მის მიმართ იჩენენ აგრესიას, რადგან მას იქ არაფერი ესაქმება! და მთელი ქართველი საზოგადოება – დაწყებული რიგითი მოქალაქით, დამთავრებული პრეზიდენტით – ამბობს, რომ რუსეთი ოკუპანტია, მან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია განახორციელა და დღეს ამ შეფასებას პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე გატანილ ლოზუნგებზე ვხედავთ, სადაც მთელი ქართველი სტუდენტობაა თავმოყრილი!

თქვენგან განსხვავებით, მე გული მტკივა ამ ლოზუნგების შემხედვარეს, რადგან ჩემთვის სამშობლო საქართველოა, ხოლო ჩემი შვილიშვილებისთვის – რუსეთი! წლებია, ვწერ, რომ ქართველი საზოგადოებისთვის რუსეთი აღარ არსებობს, რუსი ადამიანი არსებობს, მაგრამ რუსეთი – არა, რადგან მეტისმეტად ბევრი დააშავა რუსულმა სახელმწიფომ და არა მარტო საქართველოსთან მიმართებაში, - აზერბაიჯანის, უკრაინის, მოლდოვის მიმართაც იგივეა... ახლა შუა აზიაც ზურგს გაქცევთ, საკმაო აგრესიაა ყაზახეთში... და რა, ირგვლივ ყველა გაგიჟდა და მხოლოდ თქვენ ხართ მართლები?! როდის ისწავლით მოვლენების სამართლიანად და ობიექტურად შეფასება-გააზრებას? იგივე საგარეო უწყების საიტზე კომენტარები რომ გადაათვალიეროთ, ხვდებით პუტინისადმი მოწოდებებს, „საქართველოში ჯარი შეიყვანოს“! – აი, ეს არის დღეს რუსეთის საშუალო სტატისტიკური მოქალაქის აზროვნების სტილი, რომელიც ამ სოლოვიოვების, ბაბაიანების და სხვათა მიერ არის ფორმირებული და მათი მხრიდან რუსეთის მოსახლეობის ამერიკელებით დაშინების შედეგს წარმოადგენს! რეალურად კი, ეს „ამერიკელები“ მათი სახით მოსკოვში სხედან, რუსეთის ტელევიზიებში! სწორედ მათი „დამსახურებით“ რუსეთმა თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა, რომელთანაც როგორც სულიერი, ისე ეკონომიკური და სხვა სახის კავშირები ჰქონდა, ძალით აქცია მტრებად! ბოლოს და ბოლოს, ოდესმე ეს ხომ უნდა გაიაზროთ?! დროა, შეიგნოთ, რომ საქართველო და უკრაინა რუსეთისთვის სამუდამოდ დაკარგულია და ეს თქვენ ჩაიდინეთ!

რუსეთის ხელისუფლების პრობლემა, რომელიც დღეს არ დაწყებულა და ყოველთვის იყო, იმაში მდგომარეობს, რომ რუსული პოლიტიკური ელიტა ყოველთვის მუშაობდა მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური ელიტების გამოყენებით და არა ხალხებთან. მას არ სურს ხალხის აზრის, მათი განწყობების გათვალისწინება. თუ დღეს რუსეთს აზერბაიჯანთან მეტნაკლებად ნორმალური ურთიერთობა აქვს და ამის ხაზგასმა ძალიან უყვართ როგორც მოსკოვში, ისე აზერბაიჯანის ხელისუფლებაში, ეს არა რეალობა, არამედ უმეტესწილად თვალთმაქცობაა და თუ ალიევის ხელისუფლება რაღაცნაირად ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის თავს, როცა ის აღარ იქნება, აზერბაიჯანში აღარ დარჩება არც ერთი პოლიტიკური ძალა, რომელიც მოსკოვთან რაიმე საქმის დაჭერას მოინდომებს, იმიტომ, რომ თითოეული აზერბაიჯანელი დარწმუნებულია, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიის მეოთხედი ოკუპირებულია სწორედ რუსეთის და არა სომხეთის მიერ! არავინ დაიჯერებს, რომ სომხეთს შეუძლია, აზერბაიჯანს ომი მოუგოს, ისევე, როგორც არავის სჯერა, რომ სამხრეთ ოსეთის 5000-იანმა მოსახლეობამ ომი მოუგო საქართველოს, ან 200 000 აფხაზს შეეძლო საქართველოს დამარცხება! მოდით, სიმართლის ლაპარაკი დავიწყოთ. როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს ტყუილების ტირაჟირება, რუსეთის მიერ შექმნილი პრობლემების ხან ამერიკულ, ხან დასავლური დაზვერვის ჩარევად, ხან სხვა „სოუსში“ წარმოჩენა? სანამ არ აღიარებთ საკუთარ შეცდომებს, დანაშაულს, მანამდე ვერავისთან ვერაფერს გამოასწორებთ!

არც ამ დღეებში გსურთ, თბილისში მიმდინარე მოვლენების რეალური არსი აღიაროთ, არადა, ყველაფერი დღესავით ნათელია, იქ რუსი დეპუტატის გამოჩენა ჩვეულებრივი პროვოკაცია იყო. და ამ შეცდომის აღიარების ნაცვლად, მოსკოვი კვლავ ამერიკულ კვალს ეძებს. – ხან ამერიკულს, ხან გერმანულს, ხან თურქულს, ხან ბრიტანულს და რა ვიცი, კიდევ რომელს...

რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ რუსეთმა შეწყვიტოს მის მიმართ ოდესღაც მეგობრულად განწყობილი მეზობლების მტრად გადაქცევა? – პირადად მე ამ ვითარებიდან გამოსავალს მაინცდამაინც ვერ ვხედავ. ამაზე, წესით და კანონით, უნდა ზრუნავდნენ პრეზიდენტის მრჩევლები, საგარეო უწყება, შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტები, მაგრამ ისინი ამაზე არ ფიქრობენ, რადგან მათ მიიყვანეს ვითარება ამგვარ ტრაგედიამდე სოლოვიოვთან, სიმონიანთან და სხვა პროპაგანდისტებთან ერთად. სწორედ ტრაგედიაა, როდესაც ყველა ძმას გადაიმტერებ და გარდა ამისა, რუსეთის საერთაშორისო იმიჯს საკუთარი ხელით გაანულებ! დღეს რუსეთი გამოიყურება ქვეყნად, რომელიც არანაირ წესსა და კანონს არ სცნობს. ასე ლამაზად რომ გვიყვება რუსული ტელევიზია სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის არჩევნებზე რუსეთი არ არიგებდა იქ თავის პასპორტებს? და ახლაც ამას აგრძელებს!. ამიხსენით ერთი, როგორ ირჩევს მოსახლეობა, რომლის 78% რუსეთის მოქალაქეა „დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის“ პრეზიდენტებსა თუ პარლამენტებს“? რომელ საარჩევნო ნორმებში ან საერთაშორისო აქტებშია მსგავსი რამ გაწერილი?! დასაცინს ხდით რუსეთს მთელი მსოფლიოს თვალში! ყველა დაგცინით, ნაურუს და ტუვალუს გარდა, რომლებმაც არც კი იციან, სად მდებარეობს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი... აი, ასეთ აბსურდამდე მიიყვანეთ რუსული სახელმწიფოს იმიჯი, საერთაშორისო ავტორიტეტი და დიადი დერჟავა და ამაში საკუთარი დანაშაულის აღიარება, რა თქმა უნდა, არავის სურს...

რუსეთის ხელისუფლებას და მის პროპაგანდას უყვარს კილი იმის შესახებ, რომ „ქართველებს, უკრაინელებს აშშ უნდათ, ევროპა უნდათ, NATO-ში უნდათ შესვლა“.... ამიხსენით ერთი, სვანეთში მცხოვრებ ვინმე გივის რატომ უნდა მონდომებოდა ამერიკა და ევროპა, რომელიც მანამდე თვალით არ უნახავს, როდესაც მისი შვილები, მაგალითად, რუსეთში ცხოვრობენ? მაგრამ მას უნდა, ნორმალურად იცხოვროს ნორმალურ ქვეყანაში, სადაც კანონის უზენაესობაა, დაცულია ადამიანის უფლებები, არსებობს სოციუზრუნველყოფა... ამიტომაც ისწრაფვის იმ მიმართულებით, სადაც უკეთესია, – ასეთია ადამიანის ბუნება, ასე სურთ აზერბაიჯანელებსაც, სომხებსაც, რაც მათ აჩვენეს კიდეც: მიუხედავად იმისა, რომ სწორედ რუსეთის დახმარებით მიიღეს სომხებმა ყარაბაღი და კიდევ 6-7 რაიონი და მაინც არ უნდათ რუსეთთან. ამიტომაც არიან დღეს სომხეთის ხელისუფლებაში ადამიანები, რომლებმაც თავის დროზე განათლება დასავლეთში მიიღეს და იქ მუშაობდნენ... გილოცავთ, რუსეთის სახელმწიფო აპარატო! აქციეთ თქვენი ქვეყანა უფრო მიმზიდველი, აშშ-ზე უფრო მიმზიდველი და ნახავთ, თუ გაიხედავს იქით ვინმე – არც ერთი უკრაინელი აღარ გაიწევს ევროკავშირისკენ, რადგან გულში იგი თქვენსავით სლავია! მაგრამ რაც ახლა ხდება, ყველაფერი თქვენი ბრალია და თქვენს თავს დააბრალეთ! ეს თქვენ აიძულეთ ეს ხალხები, სხვაგან ეძებონ უკეთესი ცხოვრება, სახელმწიფოს უკეთესი მმართველობა, ეძებონ იქ, სადაც ეს არის, რადგან რუსეთში ეს ვერ იპოვეს. დრო კი შეცვლილია, საბჭოთა პერიოდი აღარ არის, როდესაც მხოლოდ ტელევიზია არსებობდა და გამუდმებით უშვებდნენ ეთერში ცნობებს, როგორ იდგა აშშ-ში რიგები უფასო სუპების მისაღებად... დღეს ინტერნეტისა და სოცქსელების პირობებში ველარაფერს დამალავ!

ასე, რომ გილოცავთ! თქვენივე შექმნილი პრობლემა კეთილი ინებეთ და თუ შეძლებთ, მოაგვარეთ! თუმცა მე პირადად ეჭვი მეპარება, აწი რამე მოახერხოთ, ხოლო თუ ამას ვერ შეძლებთ, რუსეთი განწირულია, ასწლეულობით მტრების მიერ იყოს გარშემორტყმული, რომლებიც გუშინ მისი ძმები იყვნენ“.

ოდაბადეზე უსაზღვროდ მლოცველი კაცი

მრავალი ქართველი მოღვაწეობს სამშობლოს საზღვრებს გარეთ, თავიანთი განათლებით, კეთილსინდისიერი შრომითა და პატიოსნებით უთქვამენ სახელს თავის სამშობლოს, ინახავენ ქართულ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, ქმნიან ოჯახებს, ზრდიან შვილებს და ცხოვრების კრედოდ მიაჩნიათ — „გახსოვდეთ, ვისი გორისა ხარ“. სასიხარულო და საამაყოა, რომ მათ შორისაა ჩემი უმცროსი მეგობარი, ძმობასა და სიყვარულში შეუდარებელი ადამიანი, სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული კაცი **გიორგი (გურიკა) ყუფუნია**. ეს სახელი და გვარი საქართველოს ულამაზესი კუთხის, სამეგრელოს გულის ზუგდიდისა და ძირძველი სოფლის, მიურატთა ნავსაყუდელ ჭკადუაშთან ისეა შესისხლხორცებული, როგორც ჭეშმარიტ ქართველს ეკადრება.

ყუფუნიათა გვარი, რომელიც ისტორიული საბუთებიდან XVII საუკუნეში ოფიციალურად მოიხსენიება, ყოველთვის სამშობლოს, მშობლიური კუთხისადმი ერთგულებით გამოირჩეოდნენ. თავიანთი უსაზღვრო შრომისმოყვარეობით წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის წინსვლაში, მშობლიური ოდაბადეს წარმოჩინებაში. ასეთები იყვნენ გიორგის წინაპრები და თავადაც ასეთი გახლავთ.

მაისში 60 წლის შესრულდა. ეს 60 წელი შრომის, სიყვარულის, ერთგულების, უანგაროდ სიკეთის ქმნისა და მოყვასის გვერდში დგომის წლებია. იქ, შორეული რუსეთის დედაქალაქში, სადაც ჭკადუაშის საშუალო სკოლის და ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის დამთავრების შემდეგ დაფუძნდა, დღემდე მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ქართველი. მისგან ხომ ერთგულებას, საქმისადმი სიყვარულს, პროფესიონალიზმს, ტრადიციებისადმი პატივისცემასა და მართლმადიდებლური მრწამსის ერთგულებას სწავლობენ. მიუხედავად იმისა, რომ გიორგის და მისი შესანიშნავი მეუღლის, ქალბატონ ნინო მესხიას სამივე შვილი მოსკოვში დაიბადა და დღემდე მოღვაწეობას იქ აგრძელებენ, არასოდეს განელებიათ სამშობლოს სიყვარული, მშობლიური სამეგრელოს ადათ-წესები და თავიანთი დიდი ოჯახისა და გვარის წესჩვეულებები.

გიორგი ხომ გამორჩეულია თავისი პროფესიონალიზმით, იგი ჯერ მოსკოვის ტიმირიაზევის, შემდეგ კი კოპტევის რაიონების კომუნალური სამსახურის უფროსად მუშაობდა, ეწევა წარმატებულ ბიზნესსაქმიანობას, არ ივიწყებს თავის კუთხეს — ტრადიციისამებრ თავის ხუთივე და-ძმასთან ერთად, ყოველ ახალ წელს სამშობლოში ხვდება, არასდროს აცდენენ არც ერთ ქრისტიანულ დღესასწაულს, სარწმუნოებისადმი სიყვარული და პატივისცემაც ხომ წინაპართაგან მოსდგამთ, ეს ღვთიური საქმე იმაშიც გამოიხატა, რომ გურამმა უმცროს ძმა იუზასთან ერთად საკუთარი სახსრებით ჭკადუაშში წმინდა გიორგის სახელობის ულამაზესი ტაძარი ააგო და სოფლის უძველეს სასაფლაოს მორღვეული გალავანი განუახლა, ამით ძმებმა წინაპართა ხსოვნას დიდი პატივი მიაგეს.

თუ ქველმოქმედებასა და მშობლიური კუთხის ყურადღება-სიყვარულზე მიდგა საქმე, აუცილებლად ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ძმები ყუფუნიების დამსახურებაა სამოქალაქო ომის დროს დანგრეული და გაპარტახებული მშობლიური სკოლისა და საბავშვო ბაღის აღდგენა-განახლება. ამისთვის გამოყოფილი 200 ათასი ლარი საკმარისი აღმოჩნდა ამ ორი, სოფლისთვის უმნიშვნელოვანესი ცენტრის რეაბილიტაციისა და უახლესი სასკოლო ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვისთვის. მათივე მშობლიურ სოფელსა და მათ მკვიდრთ სასიამოვნო სიურპრიზს უმზადებენ.

ასეთი კაცი ცხოვრობს უცხოეთში, რომლისთვისაც ყოველი დილა ოჯახზე, სამშობლოსა და მშობლიურ კუთხეზე ლოცვითა და ზრუნვით იწყება, ყოველი დღე კი ღამდება იმით, თუ კიდევ რა არგოს თავის სამშობლოსა და ხალხს.

ღმერთო, ამრავლე გიორგი ყუფუნიას დარი ქართველები! ჩემო გურიკა, გილოცავ საიუბილეო წელს!

სიყვარულით შენი
ოთარ ჭითანავა.
საზოგადოება „ჭკადუაშელის“
თავმჯდომარე

ევროპაში ქართულ ხარისხიან ღვინოზე მოთხოვნა გაიზარდა

„როსპოტრებნადზორი“ ამტკიცებს, რომ რუსეთში ქართული ღვინის ხარისხი გაუარესდა, გერმანიასა და ავსტრიაში გამოცემა Deutsche Welle-ს მიერ გამოკითხული მეღვინეები კი ასეთ ტენდეციას ვერ ხედავენ. შესაძლოა, იმიტომ, რომ ევროკავშირის ბაზრისთვის საქართველოში კონკურენტუნარიან პროდუქციას ყიდულობენ. ევროპაში ამ პროდუქციაზე მოთხოვნა სწრაფად იზრდება.

„ჩვენ ქართული ღვინის ხარისხთან დაკავშირებით პრობლემები არ გვაქვს და არც ხელისუფლებასთან, რომელიც იმპორტს აკონტროლებს“, — განუცხადა DW-ს ჰამბურგში ინტერნეტ-მაღაზია GeoVino-ს თანამფლობელმა ანდრე ჰაინმა. ოდერის ფრანკფურტში კომპანია Georgische Spezialit/ten-ის მფლობელის ლიუბენ ლინგოროვის თქმით, საბაჟო ლაბორატორიაში ამოწმებს საქართველოში მათ მიერ შეძენილ ღვინის თითოეულ პარტიას და არაერთგიზს აღუნიშნავს იმ მიმწოდებლის პროდუქციის მაღალი ხარისხის შესახებ, რომელთანაც ის უკვე ხუთი წელია, მუშაობს. მისი თქმით, სხვა ქართველ მწარმოებლებთანაც მას პრეტენზიები არ ჰქონია.

„იმ ქართული ღვინის მიმართ, რომელიც ჩვენ ასორტიმენტში გვაქვს, პრეტენზიები არასდროს გვქონია“, — განუცხადა გამოცემას ვენაში ინტერნეტ-მაღაზია Georgische Traditionsweine-ის მფლობელმა ოქსანა შპაკმა.

„საქართველოში უმაღლესი კლასის ღვინოა, მაგრამ ისევე როგორც ნებისმიერ ქვეყანაში, ცალკეული მწარმოებლების მიმართ, შესაძლოა, იყოს პრობლემები“, — აღნიშნა ალექსეი შრაინერმა, რომელიც ქართული ალკოჰოლური პროდუქციით უკვე 16 წელია ვაჭრობს. მას ბერლინში ეკუთვნის ონლაინ-მაღაზია Tsinapari. „როსპოტრებნადზორის“ განცხადებაზე მან შემდეგი კომენტარი გააკეთა: **„ეს წმინდა პოლიტიკაა, აქ ყველაფერი თეთრი ძაფით არის შეკერილი“**. რუსულმა უწყებამ 24 ივნისს განაცხადა, რომ გააძლიერა კონტროლი ქართულ ალკოჰოლურ პროდუქციაზე , რადგან დინამიკაში მისი ხარისხი გაუარესდა.

DW-ის რესპონდენტები სრულიად განსხვავებულ დინამიკას ხედავენ: ევროპაში ქართულ ღვინოზე მოთხოვნა სულ უფრო იზრდება. **„ბოლო სამი წლის განმავლობაში მოთხოვნის აფეთქებაა“,** — ამტკიცებს ალექსეი შრაინერი. ის ამას საქართველოში ტურისტების ნაკადის ზრდით ხსნის.

„ადამიანები მიდიან ამ ქვეყანაში, ესმით, რომ ქართული ღვინო განსაკუთრებულია და თანდათან მის გემოს ითავისებენ“, — ამბობს შრაინერი.

ლიუბენ ლინგოროვი თავის მაღაზიაში გაყიდვების ზრდას ასევე უკავშირებს იმასაც, რომ 2018 წელს საქართველო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საპატიო სტუმარი იყო. ამან გერმანულ საზოგადოებაში ყველაფერი

ქართულის მიმართ დიდი ინტერესი გამოიწვია, მათ შორის სამზარეულოსა და ღვინის მიმართ.

გაყიდვების ზრდაზე საუბრობს GeoVino-ს წარმომადგენელი ანდრე ჰაინიც, ის შეკვეთებს იღებს არა მხოლოდ გერმანიიდან, არამედ ბენელუქსის ქვეყნებიდან, ავსტრიიდან, იტალიიდან, შვეიცარიიდან. მისი აზრით, ქართული ღვინის სასარგებლოდ მეტყველებს მისი უნიკალური ისტორიაც და ვაზის ის განსაკუთრებული ჯიშები, რომლისგანაც ღვინო მზადდება და მხოლოდ საქართველოში იზრდება.

ოქსანა შპაკმა ვენაში მაღაზია სამი წლის წინათ გახსნა, შეკვეთებს ავსტრიიდან, გერმანიიდან და უნგრეთიდან იღებს. ოქსანას შეხება ჰქონდა Bolero-ს პროდუქციასთან, რომელიც რუსეთმა შავ სიაში შეიყვანა.

„ჩვენ ის ერთხელ ავიღეთ, მაგრამ მეტს აღარ ავიღებთ. ღვინო ცუდი არ არის, მაგრამ ევროპული ხარისხი არ აქვს“, — განაცხადა მან.

„ავსტრიაში ძალიან კარგი საკუთარი ღვინო გვაქვს, ამიტომაც ამ ბაზარზე წინ რომ წახვიდე, მაღალი ხარისხი უნდა გქონდეს“, — განმარტა ოქსანამ. ის მუშაობს უფრო კონკურენტუნარიან ბრენდებთან — Marani-თან, Schuchmann-თან და Vinoterra-სთან. კიდევ ერთი კომპანია, რომელიც „როსპოტრებნადზორმა“ შავ სიაში შეიყვანა „ბაგრატიონი 1882“-ია. მისი პროდუქცია იყო ჰამბურგის მაღაზია GeoVino-ს ასორტიმენტში, თუმცა ანდრე ჰაინის თქმით, ქართული ცქრიალა ღვინისთვის ბაზარი ძალიან პატარაა, უფრო პერსპექტიულია წითელი და თეთრი ღვინო.

მაღაზიის ასორტიმენტის საფუძველს წარმოადგენს Kindzmarauli-ის პროდუქცია. **„ადრე ჩვენ მწარმოებლების უფრო ფართო არჩევანი გვქონდა, შემდეგ კი შევამცირეთ და ფსონი მასზე დავდეთ, რომელიც უზრუნველყოფს ფასებისა და ხარისხის უკეთეს თანხვედრას“,** — განმარტა ალექსეი შრაინერმა.

ამავე გზით წავიდა ლიუბენ ლინგოროვიც, რომელმაც ოდერის ფრანკფურტში 2012 წელს ინტერნეტ-ნაღაზია დააფუძნა. ორი წლის შემდეგ საქართველოში ყოფნის დროს ის ეწვია „კახური ღვინის მეურნეობას“ და მას შემდეგ ყიდის უპირატესად ამ კომპანიის პროდუქციას.

მის მღაზიაში ასევე შესაძლებელია Badagoni-ის სამი სახეობის ღვინის შეძენაც, რომელიც ასევე როსპოტრებნადზორის“ სიაში მოხვდა. ლიუბენ ლინგოროვი დარწმუნებულია, რომ თუ ამ კომპანიის ღვინო ევროკავშირის სტანდარტებს არ პასუხობს, გერმანულ ბაზარზე არ დაუშვებდნენ. მისი თქმით, 2006 წელს, რუსეთის მიერ ქართულ ღვინოზე დაწესებულმა ემბარგომ საქართველოს შესანიშნავი სამსახური გაუწია. „ამან მწარმოებლები აიძულა, სხვა ბაზრები მოეძებნათ, ორიენტირებულნი ყოფილიყვნენ ევროპაზე, რამაც არსებითად გაზარდა ქართული ღვინის ხარისხი.

◎ მეორე ევროპული თამაშები

პლუს ორი ჯილდო

ბელარუსის დედაქალაქში მიმდინარე მეორე ევროპულ თამაშებზე საქართველოს სპორტული დელეგაცია 22 მედლით (6, 6, 10) გუნდურ მესამე ადგილს ინარჩუნებს, რაც, დაგვეთანხმებით, ჩინებული შედეგია – ჩვენი ათლეტები ხომ ისეთ გიგანტ სახელმწიფოებს უსწრებენ, როგორიცაა გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, უკრაინა, იტალია და ა. შ.

კონტინენტური ფორუმის მეხუთე საშეჯიბრო დღეს საპატიო კვარცხლბეკზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ავიდნენ.

მინსკში ქართული ჰიმნის აჟღერებასთან ახლოს იყო მძიმეწონოსანი გივი მაჭარაშვილი, რომელმაც „ჯვაროსანთა“ აღიარებული ტრავმირებული ლიდერი გენო პეტრიაშვილი შეცვალა. სამწუხაროდ, ჩვენი ფალავანი ფინალში რუსეთის ნაკრების ჩეჩენ წევრ ანზორ ხიზრიევთან დამარცხდა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

პარტნიორს მშვენივრად აუბა მხარი 74 კილოში მოასპარეზე ავთანდილ კენჭაძემ, რომელმაც ნატკენი ფეხით ვაჟკაცურად იბრძოლა ხალიჩის მასპინძელ აზამატ ნურიკაუსთან და მესამე პრიზიორი გახდა – 8:5.

დავძენთ, რომ მორიგი ჯილდოს მოხვეჭის რეალური შანსი აქვს ყველა ტიტულის მფლობელ ლადო ხინჩეგაშვილს.

იგივე შეიძლებოდაა გვეთქვა ნიჩბოსნებზე – ზაზა ნადირაძესა და მარიამ ქერდიკაშვილზე, რომლებმაც ერთადგილიანი კანოეთი ფინალურ გაცურვაში გამოსვლის უფლება დაიმსახურეს, მაგრამ გუშინ ისინი უმედლოდ დარჩნენ.

ქების ღირსნი არიან სახილ ალახვერდიევიმ (49 კგ) და ოთარ ერანოსიანი (60 კგ), რომლებიც მოკრივეთა ტურნირის ნახევარფინალში გასვლით მკერდს, სულ მცირე, „ბრინჯაოთი“ დაიმშვენებენ.

გიორგი ზოთაძე

◎ ლეგიონერი

„ადიდასმა“ ბითაძესთან კონტრაქტი გააფორმა

საძვეყნოდ ცნობილმა კომპანიამ „ადიდასი“ კონტრაქტი გააფორმა NBA-ს 2019 წლის დრაფტის სამ მონაწილესთან, რომელთა შორისაა ქართველი კალათბურთელი გოგა ბითაძე.

შეგახსენებთ, რომ ბითაძე მე-18 ნომრად „ინდიანა პეისერზმა“ აიყვანა და მას შთამბეჭდავი დახვედრაც მოუწყო, „ადიდასის“ ინტერესის სფეროში კი ასევე ჯარეტ კალვერი („მინესოტა“, მე-6 ნომერი) და სეკოუ დუმბია („დეტროიტი“, მე-15) მოხვდნენ.

„კალვერი, ბითაძე და დუმბია ნბა-ს ვარსკვლავთა მომავალ თაობას წარმოადგენენ და მიუთმენლად ველით იმ დროს, როდესაც ისინი „ადიდასის“ სპორტსმენთა რიგებს შეუერთდებიან. დარწმუნებული ვარ, სამივე მათგანი მსოფლიო მასშტაბით კალათბურთის განვითარებაში დიდ როლს ითამაშებს“, – აღნიშნა Adidas basketball-ის ხელმძღვანელმა კოფი ბრაუნმა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ვითარება

„ტორპედო“ ლიდერებმა დატოვეს

ძუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელები ტოვებენ. როგორც იმერული გუნდის ვებ-გვერდი იტყობინება, კლუბიდან ლევან გეგეჭკორი, გიორგი ქიმაძე, მერაბ გიგაური, ნოდარ ქავთარაძე, ამბროსი ჩაჩუა და რიჩარდ ლუკა წავიდნენ.

ეს კი იმ მწვავე ფინანსური პრობლემებითაა გამოწვეული, რომელიც რიონის ნაპირებზე უკვე კარგა ხანია, დგას და საშველი არსაიდან ჩანს. გეგეჭკორი ბათუმის „დინამოში“ ითამაშებს, ხოლო გიგაური აზერბაიჯანულ „გაბალას“ შეუერთდება. დანარჩენთა ბედი ამ ეტაპზე უცნობია.

შეგახსენებთ, რომ ჩვენებურებს ორ კვირაში ევროპა ლიგაზე ყაზახურ „ორდაბასთან“ მოუწევს ბრძოლა და, როგორც ჩანს, ძალზე შესუსტებული შემადგენლობით.

გეჟან დოლიძე

◎ ოლიმპიზმი

სოლიდური ძღვენი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) პრეზიდენტ თომას ბახის განცხადებით, 2026 წელს მილანსა და კორტინა დ'ამპეცოში ჩასატარებელი ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის IOC სოლიდურ ასიგნებას გაიღებს.

აპენინებზე 2026 წლის ზამთრის ოლიმპიურითამაშების წარმატებით მოსაწყობად IOC 925 მილიონ დოლარს გამოყოფს“, – განაცხადა თომას ბახმა.

იტალიის ერთობლივმა განაცხადმა ლოზანაში გამართულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე 47 ხმით XXV ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მოიპოვა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ზურაბ ჟვანია:

„საქართველოს ნაკრებს ვერ დავეხმარები, რაც ჩემი სურვილით არ მომხდარა“

ინფორმაცია, რომელიც ბოლო დღეებში სარაგბო სამყაროში არაოფიციალურად გავრცელდა, დადასტურდა: საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ზურაბ ჟვანია 2019 წლის მსოფლიო თასზე ვერ ითამაშებს, რასაც არცთუ ჯანსაღი მიზეზები აქვს. აღნიშნულის შესახებ განცხადება თავად ჟვანიამ გაავრცელა.

„მივმართავ ყველა გულშემატკივარს. მადლობა ყველაფრისთვის, მადლობა დაფასებისთვის, გულშემატკივრობისთვის...

სამწუხაროა, რომ წელს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ვერ დავეხმარები. მინდა იცოდეთ, რომ ეს ჩემი პირადი სურვილის გამო არ მომხდარა, ისევ თქვენი და საქართველოს გულისთვის მინდოდა მეთამაშა, განსაკუთრებით რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ ყველაფერი მოხდა კონკრეტული ადამიანების პირადი ინტერესების გამო.

ცუდია, რომ სარაგბო სამყაროში ვიღაცის ინტერესები გადამწყვეტია, მაგრამ იცოდეთ, მე აუცილებლად გაგახარებთ. ჩემს ქვეყანაში თუ ამის უფლებას არ მაძლევენ, სხვა ქვეყნიდან.

მინდა წარმატება ვუსურვო ჩემს მეგობრებს, საქართველოს ნაკრებს. მადლობა ყველა თქვენთაგანს ყურადღებისთვის. დასმულ კითხვებს წინასწარ ვცემ პასუხს. ვისაც ენდომება ამ თემაზე საუბარი. ყველასთვის გახსნილი ვიქნება, რადგან არ ვარ პირველი, მაგრამ მინდა უკანასკნელი ვიყო და მომავალში სხვაც არ აღმოჩნდეს ჩემს სიტუაციაში.

საქართველოში ჩამოვედი საქართველოსთვის და თქვენთვის, ჩემი გულშემატკივარისთვის, მაგრამ მინდა ვისაუბრო ამ საკითხზე და ისე დავბრუნდე უკან. მინდა, საქართველო და თქვენ კიდევ ბევრჯერ გაგახაროთ.

კობა კობახიძე

ჯანმრთელობა

წამალი და შხამი: განსხვავება მხოლოდ დოზაშია

გულ-სისხლძარღვთა **დაავადებებს დიდი ხანია, მსოფლიოში პირველი ადგილი უკავიათ სიკვდილიანობის მიზეზთა შორის. ამასთანავე, ინსულტებისა და ინფარქტების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არტერიული ჰიპერტონიაა. მაგრამ, თუკი უწინ ითვლებოდა, რომ ვერცხლისწყლის სინდიყის 140-90-ზე მაჩვენებლების დროს წნევის დაწევა საჭირო არ იყო, ამჟამად კარდიოლოგები ერთხმად გაიძახიან, რომ ეს მაჩვენებელი უკვე ჰიპერტონიის არსებობაზე მიუთითებს. მაშ, როგორი წნევა უნდა მივიჩნიოთ ნორმალურად და როდის მივიღოთ შესაბამისი წამლები?**

სადღეისოდ მედიკოსები ნორმალურ არტერიულ წნევად ისეთს თვლიან, რომელიც 119-78-ს არ აღემატება. 120-80-ზე წნევას კი ისინი წინაჰიპერტონიად აღიქვამენ, რითაც ხაზს უსვამენ, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა წარმოშობის რისკები მართალია უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ზრდას იწყებს 120-80 — 129-80-ზე.



წნევა 130-80-ზე მაჩვენებელი უკვე ჰიპერტონიაა, რომელიც ჩარევას მოითხოვს. მაგრამ, თუკი მომატებული წნევის გარდა პაციენტს ინფარქტის სხვა რისკი არა აქვს, მაშინ შეიძლება მკურნალობა მხოლოდ აერობული ფიზიკური დატვირთვით, დიეტითა და წონის დაკლებით შემოიფარგლოს. მაგრამ თუკი პაციენტი თამბაქოს მწეველია, აქვს ჭარბი წონა და სისხლში ქოლესტერინისა და შაქრის შემცველობა არის მომატებული, მაშინ, საჭიროა წამლების მიღება.

არადა, ბევრი ხანდაზმული მაღალ წნევას ასაკისთვის ნორმალურ მოვლენად აღიქვამს. ზოგიერთნი კი სულაც ფიქრობენ, რომ ეს გარემოება ხელს უწყობს თავის ტვინის სისხლით მომარაგებას, ეს კი მცდარი შეხედულებაა!

ასაკოვან ხალხში არტერიული წნევის (განსაკუთრებით მისი ზედა ზღვრის, ანუ სისტოლოგიურის) მომატება ინფარქტების, ინსულტებისა და მოხუცების გონებასისუსტის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. სხვა ამბავია, როცა მოწიფულ ასაკში წნევის დაწევის მიზნობრივი მაჩვენებლები შესაძლოა, უფრო მაღალი იყოს, ვიდრე ახალგაზრდობაში — 130-80-მდე. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ, რომ **დაუშვებელია არტერიული წნევის მკვეთრად დაწევა,** წინააღმდეგ შემთხვევაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოთა სისხლით მომარაგება შესაძლოა, სახიფათო დონემდე დაეცეს.

საჭიროა, გვახსოვდეს, რომ შეუძლებელია არტერიული წნევის განკურნვა, შესაძლებელია მხოლოდ ავადმყოფობის გაკონტროლება! ამიტომაც არის საჭირო წნევის მარეგულირებელი პრეპარატების გამუდმებით მიღება. სხვა შემთხვევაში ისე გამოვა, რომ თითქოს ხეიბარი ყავარჯენს მხოლოდ უქმე დღეებში არ იყენებდეს იმ მიზეზით, რომ იმ დღეებში საჭირო აღარ არის. არადა, მისთვის ყავარჯენი მუდამ საჭიროა! ამდენად, წამლის მიღებაც იმისთვისაა საჭირო, რომ წნევა ნორმაში იყოს — მკურნალობის მიზანიც სწორედ ესაა. **შესაძლოა, წამლების მიღების შეწყვეტას — კრიზი, ინფარქტი და ინსულტი მოჰყვეს.**

როცა პაციენტს წნევა ზომიერად აქვს მომატებული, ექიმი წამლის დანიშვნამდე სამი თვე მის ნორმაში ჩაყენებას რაციონიდან მარილის ამოღებით, აგრეთვე ფიზიკური ვარჯიშებით ცდილობს, ხოლო თუკი ეს მეთოდი არასაკმარისი აღმოჩნდა, მაშინ წამლები ენიშნება.

საერთოდაც, გულით დაავადებულთათვის კვების რამდენიმე წესი არსებობს. **პირველი** — ესაა დღეში არა უმეტეს 1800 კილოკალორიის საკვების მოხმარება; **მეორე** — „არ ჭამო არაფერი თეთრი“ (ანუ რაციონიდან უნდა ამოიღოთ მარილი, შაქარი, თეთრი პური, თეთრი ბრინჯი, მაკარონი); **მესამე** წესი ეხება ცხიმს — უნდა იყოს ან მცენარეული, ან ნიგვზის ანდა ზღვის პროდუქტების. აღსანიშნავია, რომ მცენარეული, ზღვის პროდუქტებისა და ნიგვზის ზეთები ამცირებენ სისხლში „ცუდი“ და ამაღლებენ „კარგი“ ქოლესტერინის დონეს. შაქარი კი პირიქით მოქმედებს, მაგრამ, რაც მთავარია, **ტკბილი საჭმელი ამცირებს „მგრძნობიარობას“ ინსულინის მიმართ, რაც დიაბეტისა და ონკოლოგიისთვის პირდაპირი გზის გახსნის ტოლფასია.**

გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა კიდევ ერთი რისკია — ჭარბი წონა, მაგრამ აუცილებელია წონაში თანდათანობით დაკლება. ამისთვის საჭიროა სამ თვეში სხეულის მასის 5 პროცენტის დაკლება. ერთი შეხედვით, ასეთი ნელი და უმნიშვნელო გახდომის პირობებშიც კი დიაბეტისა და ინფარქტის რისკები მკვეთრად კლებულობს.

გარდა ამისა, საჭიროა, გვახსოვდეს, რომ გუშინდელი დღე უკვე ჩავლილია, ხვალინდელი კი ჯერაც არ დამდგარა, ამდენად ფუჭი ნერვიულობით საქმეს არ ეშველება. ამდენად, **თავს სტრესებით ზედმეტად ნუ გადატვირთავთ, რადგან ამას თქვენი ჯანმრთელობისთვის დიდი ზიანის მოტანა შეუძლია.**

და კიდევ ერთი: მთელ მსოფლიოში მიღებულია ალკოჰოლის ნორმა, რომელიც გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვის სარგებლის მომტანად ითვლება. ესაა დღე-ღამეში დაახლოებით 20 გრამი სუფთა ალკოჰოლი — ან ბოკალი მშრალი ღვინო, ანდა კათხა ლუდი. ამასთანავე გახსოვდეთ, პარაცელსის ცნობილი წესი: **„წამალი და შხამი ერთმანეთისგან მხოლოდ დოზით განსხვავდება“.**

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

ყინწვისში ექსკურსიაზე მყოფი მასწავლებელი კლდიდან გადავარდა და დაიღუპა

ყინწვისში ექსკურსიაზე მყოფი თბილისის მე-14 საჯარო სკოლის მასწავლებელი კლდიდან გადავარდა და ადგილზე დაიღუპა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ყარაჯალაში 40 წლამდე მამაკაცი მოკლეს

წინასწარი ინფორმაციით, მამაკაცს ცეცხლსასროლი იარაღიდან თანასოფლელმა ესროლა და გულმკერდის არეში დაჭრა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ადგილობრივები მომხდარ ფაქტს წარსულში დაწყებულ კონფლიქტს უკავშირებენ. მათივე თქმით, მოკლული მამაკაცი საქართველოში არ ცხოვრობდა და რამდენიმე დღის წინ, სოფელ ყარაჯალაში დედის სანახავად ჩავიდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

სანთელი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გაზეთის ერთგულ მკითხველსა და ავტორს, საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარის მოადგილეს, ფილოსოფიის დოქტორს, ბერ გიორგი რუხაძეს ძმის

გოდერძი რუხაძის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები ჟანა ბრელიძე ოჯახით, რუსუდან დუნდუა უდიდესი გულისტკივილით იუწყებიან, კეთილშობილი, სპეტაკი სულის, ღირსეული მოქალაქის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის

ცირა ნასყიდაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მწუხარებაში მყოფ ოჯახის წევრებს.

მტკნარი წყლის გიგანტური რეზერვუარი

ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში, აშშ-ის სანაპიროსთან, მლაშე წყლის ქვეშ გეოლოგებმა მტკნარი წყლის შემცველი გიგანტური ფენა აღმოაჩინეს.

მიუხედავად საოცარი ზომისა, ეს აღმოჩენა მთლად მოულოდნელიც არ ყოფილა. მტკნარი წყლის სიგნალები პირველად 1970-იან წლებში შენიშნეს, მაგრამ ამ დრომდე არავინ ელოდა, რომ ფოროვან ქანებში ჩაჭედილი უზარმაზარი რეზერვუარი აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს თითქმის მთელ სიგრძეზე იქნებოდა გადაჭიმული.



კოლუმბიის უნივერსიტეტის გეოლოგის, კლოე გუსტაფსონის განცხადებით იზოლირებულ ადგილებში მტკნარი წყლის არსებობის შესახებ მათთვის აქამდეც ცნობილი იყო, მაგრამ არ იცოდნენ მისი ზუსტი გეომეტრია.

2015 წელს გუსტაფსონის კოლეგებმა ნიუ-ჯერსისა და მასაჩუსეტსის სანაპიროებზე საპილოტე კვლევა ჩაატარეს.

კვლევით გემზე განთავსებული ელექტრომაგნიტური მიმღების გამოყენებით, ნაპირიდან მოშორებულ ზონებში, კონტინენტური შელფების ქვეშ არსებულ დანალექებში ჯგუფი მიწისქვეშა წყლების დეპოზიტებს ეძებდა.

1970-იან წლებში, ნავთობკომპანიების მიერ წარმოებული კვლევითი სამუშაოების დროს, გაბურღვისას შემთხვევით მტკნარი წყალი აღმოაჩინეს; შესაბამისად, მეცნიერებმა მისი არსებობის შესახებ გარკვეულწილად უკვე იცოდნენ. თუმცა, უცნობი რჩებოდა რესურსის მოცულობა და ზუსტი მონაცემები.

სწორედ ამ მიზნით, სპეციალური გემით, მკვლევართა ჯგუფი ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს 10 დღის განმავლობაში იკვლევდა. ისინი გემის ქვეშ წყალში ელექტროგამტარობას ამოწმებდნენ.

მლაშე წყალი ელექტრომაგნიტურ ტალღებს მტკნარ წყალზე უკეთ ატარებს; შესაბამისად, ამ ტალღების მიმღები სპეციალური მოწყობილობით მკვლევარებმა წყალშემცველი ფენის ზუსტი მოცულობა განსაზღვრეს.

დადგინდა, რომ თითქმის უწყვეტი წყალქვეშა წყალშემცველი ფენის სისტემა აშშ-ის ატლანტიკურ სანაპიროსთან სულ მცირე 350 კმ-ზე ვრცელდება და შეიცავს დაბალი მარილიანობის მქონე 2800 კუბურ კილომეტრ მიწისქვეშა წყალს.

მკვლევართა აზრით, მტკნარი წყლის შემცველი ფენა ვრცელდება დელავერიდან მასაჩუსეტსის შტატამდე, შესაძლოა, უფრო შორსაც.

მათი განცხადებით, მტკნარი წყალი ამ ზონაში, სავარაუდოდ, ბოლო გამყინვარების ხანაში მოხვდა, როცა ის კლდოვან დანალექებში ჩაიჭედა.

აშშ-ში ამ წყლის სასმელად გამოყენების საჭიროება ამჟამად არ დგას. თანაც, მისი გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით ზედა ფენა, დროთა განმავლობაში დაბინძურებული იქნება მარილით. თუმცა, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, თუკი ასეთ რეზერვუარს მსოფლიოს მშრალ, უწყლო რეგიონებთან აღმოაჩენენ, უზარმაზარი იქნება მისი მნიშვნელობა გამოყენების თვალსაზრისით.

კვლევა ჟურნალ Seientific reports-**ში გამოქვეყნდა.**
მომზადებულია columbia.edu-**სა და** ScienceAlert-**ის მიხედვით.**

მიხეილ ჭაბუკაშვილი

მონიკა ბელუჩი საქართველოში ჩამოდის

ცნობილი იტალიელი კინოვარსკვლავი მონიკა ბელუჩი 19 სექტემბერს საქართველოში ჩამოდის — ინფორმაციას tv25 ავრცელებს. სუპერ ვარსკვლავის საქართველოში ჩამოყვანის ორგანიზებას მსახიობი ედმონდ მინაშვილი გაუწევს.

ედმონდ მინაშვილმა აღნიშნა, რომ ცნობილ ვარსკვლავთან მიმოწერა აქვთ და ამჟამად ჩამოსვლის დეტალები ზუსტდება.

„ძალიან გვინდა, რომ ჩამოვიდეს. ყველაფერი გადაწყვეტილია. თვითონაც ძალიან დიდი სურვილი აქვს ამის. ჩამოსვლის ამბავი უკვე გადაწყვეტილია, ახლა იმაზე მიდის საუბარი, როგორ შევფუთოთ ეს ყველაფერი. ძალიან გვინდა, რომ ყველაფერი კარგად გამოვიდეს, აქაურობა გავაცნოთ.

შესაძლოა, მის ვიზიტს რაიმე საქველმოქმედო ხასიათიც ჰქონდეს, მოკლედ ჯერჯერობით დეტალები ზუსტდება“, — განაცხადა მინაშვილმა და აღნიშნა, რომ აპირებს, ცნობილი მსახიობი საკუთარი ფილმის „შინდისის გმირების“ გადასაღებ მოედანზეც მიიპატიჟოს.

ედმონდ მინაშვილმა მონიკა ბელუჩი კანში გაიცნო და საქართველოშიც მაშინ მოიწვია.

ლიეტუველები მარჯანიშვილის სცენაზე



თბილისის თანამედროვე ცეკვის და ექსპერიმენტული ხელოვნების ფესტივალის ფარგლებში საქართველოს დედაქალაქს ვილნიუსის თანამედროვე ცეკვის თეატრი LAW AIR გასტროლებით ეწვია. წარმოდგენები გაიმართა მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე. სტუმრებმა შემოგვთავაზეს ორი წარმოდგენა FEEL LINK და GAME OVER. მაყურებელი მოჯადოებული ადევნებდა თვალყურს მსახიობების არაჩვეულებრივ პლასტიკას. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ლიეტუვის ახალი თაობის მოცეკვავეები და ქორეოგრაფები AIRIDA GUDAITE და LAURINAS ZAKEVICIUS-ი.

FEEL LINK-ი იყო პირველი urban/hip-hop ცეკვა, რომელიც ლიეტუვაში დაიდგა და ის იყო ნომინირებული პრესტიჟულ ლიეტუვურ დაჯილდოებაზე OLDEN STAGE CROSS (წლის საუკეთესო დებიუტისათვის) AME OVER წარმოადგენს ვიზუალური ხელოვნების და ცეკვის შერწყმას.

რევაზ თოფურია

მადაგასკარში, სტადიონზე ჭყლეტის შედეგად 16 ადამიანი დაიღუპა

მადაგასკარში სტადიონზე ჭყლეტის შედეგად 16 ადამიანი დაიღუპა, ათობით პირი კი დაშავდა. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება.

ადგილობრივები დედაქალაქ ანტანანარივუში დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად სტადიონზე აღლუმს ესწრებოდნენ. „ბიბისი“ კუნძულოვანი ქვეყნის ხელისუფლების განცხადებაზე დაყრდნობით წერს, რომ არეულობა მაშინ დაიწყო, როდესაც სტადიონზე აღლუმი დასრულდა, ხალხი კი ტერიტორიის დატოვებას ცდილობდა, თუმცა ამ დროს პოლიციამ შესასვლელები გაურკვეველი მიზეზების გამო დახურა.

მსგავსი შემთხვევა ამავე სტადიონზე გასული წლის სექტემბერშიც მოხდა, როდესაც საფეხბურთო მატჩზე მომხდარი ჭყლეტის დრო ერთი ადამიანი დაიღუპა, 30-ზე მეტი კი დაშავდა

ნიკოლას მადურომ სამხედრო გადატრიალება ჩაახშო!

ვენესუელის არაღიარებული პრეზიდენტი ნიკოლას მადურო სამხედრო გადატრიალების ჩახშობის შესახებ იუწყება. როგორც ნიკოლას მადურომ განაცხადა, დამნაშავეთა ჯგუფი მის მოკვლას და ქვეყნის ლიდერად თავდაცვის ყოფილი მინისტრის დანიშვნას გეგმავდა.

ნიკოლას მადუროს განმარტებით, მის წინააღმდეგ დაგეგმილ შეთქმულებაში ოპოზიციონერი ხუან გუაიდოც მონაწილეობდა. გადატრიალების სამზადისში რამდენიმე ათეული ადამიანი იყო ჩართული. აღნიშნული საქმის ფარგლებში უკანასკნელ დღეებში ვენესუელაში ექვსი სამხედრო მოსამსახურე და რამდენიმე სამართალდამცველი დააკავეს.

ნიკოლას მადუროს განმარტებით, შეთქმულებს სამი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზის ხელში ჩაგდება სურდათ, რის შემდეგაც მას და მის მეუღლეს მოკლავდნენ. მადუროს განმარტებით, შეთქმულების შემდეგი ნაბიჯი ქვეყნის ყოფილი თავდაცვის მინისტრის რაულ ბადუელის ციხიდან გათავისუფლება და მისი პრეზიდენტად დანიშვნა იყო.

ვენესუელაში ვითარება განსაკუთრებით 21 იანვრის შემდეგ დაიძაბა, როდესაც ნიკოლას მადუროს წინააღმდეგ მასშტაბური დემონსტრაციები დაიწყო. ოპოზიციონერმა ხუან გუაიდომ კი თავი ქვეყნის დროებით პრეზიდენტად გამოაცხადა. ამის შემდეგ ნიკოლას მადურომ მის წინააღმდეგ ამბოხის მომზადების შესახებ არაერთხელ განაცხადა.

მერკელი აშკარად დაუძლურდა, მაგრამ...

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ისევ შეუძლოდ გახდა ოფიციალურ ღონისძიებაზე, გერმანიის პრეზიდენტ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერთან ერთობლივი ბრიფინგის დროს.

როგორც უცხოური მედია წერს, მერკელს წყალი შესთავაზეს, რაზეც უარი თქვა.

გერმანიის მინისტრთა კაბინეტის პრესსპიკერის განცხადებით, მერკელი თავს კარგად გრძნობს და იაპონიაში „დიდი ოცეულის“ G20-ის სამიტზე გასამგზავრებლად ემზადება.

გასულ კვირას მერკელმა თავი შეუძლოდ ბერლინში უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმირ ზელენსკისთან შეხვედრის დროსაც იგრძნო. ის მოულოდნელად აკანკალდა და ხელებით სხეულის კანკალის შეჩერება რამდენჯერმე სცადა.

პრინცი უილიამი: თუ ჩემი შვილი გეი იქნება, მე მას მხარს დავუჭერ!

კემბრიჯის ჰერცოგმა ელისაბედ მეორის შვილიშვილმა, პრინცი ჩარლზისა და პრინცესა დაიანას უფროსმა ვაჟმა, აგრეთვე გაერთიანებული სამეფოს ტახტის მემკვიდრემ (ბებიისა და მამის შემდეგ), პრინცმა უილიამმა განაცხადა, რომ ის მზად არის, მხარი დაუჭიროს მის შვილებს, თუ ისინი გეები იქნებიან.

დიდი ბრიტანეთის პრინცმა აღნიშნა, რომ ის წუხს, რადგან, თუ ეს ასე მოხდება, მათ უამრავი სირთულის გადალახვა მოუწევთ.

„თუ ჩემი შვილი გეი იქნება მე მას მხარს დავუჭერ. ზოგადად, მე სრულად დავუჭერ მხარს ჩემს შვილებს ყველა მათ გადაწყვეტილებაში, თუმცა მშობლის გადმოსახედიდან მაინც მღელვარება მიპყრობს. თუ ჩემი შვილები გეები იქნებიან, მათ უამრავი ბარიერის, შეურაცხმყოფელი სიტყვების, დევნისა და დისკრიმინაციის ატანა მოუწევთ“, — განაცხადა პრინცმა უილიამმა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8470; ევრო - 3.2356;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6143;
100 რუბლი - 4.5039; თურქული ლირა - 0.4932;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6746;
1000 სომხური დრამი - 5.9661.

ამინდი 28 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+38
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+32
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+19,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+32
თბილისი:	ღამე	+22,	დღე	+36

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge